ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №11 (1799) 3-16 ივნისი 2003

დაუშვებელია

„რუსეთ-თურქეთის“ გაზსადენის საქართველოზე გაჭარება

მე-2 გვ.

კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

სკეპტიციზმი ერაყის ნავთობის გამო

მე-3 გვ.

ირანი, ამერიკა და ევროპელი უფამფალები

მე-3 გვ.

„რას ნიშნავს და რამდენად სერიოზულია ირანის მუქარა, რომ, თუ საქართველოს ტერიტორიას ამერიკული მხარე გამოიყენებს ირანის წინააღმდეგ სამოქმედოდ, ამას მოჰყვება ირანელთა საპასუხო დარტყმა საქართველოზე“?

მე-6 გვ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა დაიწყო

საქართველოს ზეიმი

მსოფლიოსთვის არასაინტერესო ომი

მე-3 გვ.

VIVAT HISTORIA

ანუ რას გვიამბობენ მცენარეთა სახელწოდებანი აფსუა-აფხაზთა აბორიგენობაზე საქართველოში

მე-5 გვ.

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

მე-2 გვ.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №1,2,3,4,5,6,7,8,910

თავმჯდომარე. ბატონი გივი ლომინაძე.

(ხმა დარბაზიდან. რამდენია დარჩენილი?)

თავმჯდომარე. 60-მდე კაცია ჩაწერილი. (ხმაური დარბაზში). ბატონო დეპუტატებო, მოვუსმინოთ. თუ არ მოვუსმენთ, კამათი არ იქნება.

გ. ლომინაძე. ბატონებო, მე პირადად არა მგონია, რომ ამ დარბაზში, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მოიძებნოს ისეთი პიროვნება, ვისაც არ სურდეს დღება „სნგ“-ს დებულების, წესდების ზოგიერთ ასპექტზე და რატომ არის ის პატივცემული ოპოზიციისათვის მიუღებელი დღეს. სანამ ამ კონკრეტულ ანალიზს შევუდგებოდე, ჩემს ანალიზს, მანამდე ერთი რამ კიდევ მინდა გითხრათ. არ შეიძლება ალბათ არ გავუწიოთ ანგარიში დღეს არსებულ მდგომარეობას საქართველოში. არ შეიძლება ცოტათი მაინც არ დამიჯეროთ 5 თვის განმავლობაში მყოფ პიროვნებას იქ, დასავლეთში, იმ ფრონტის ხაზზე, როცა საუბარი ეხება იმ განწყობას, რასაც 180000 ლტოლვილი ჰქვია, რასაც სუვერენული თანასწორობის საწყისებს. თანამეგობრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს და არა აქვს ზეეროვნული უფლებამოსილება და აქ, ჩვენ როცა ამ საკითხს ვეხებით, რატომღაც არც ერთ გამოსვლაში ეს ასპექტი არ იყო ხაზგასმული. მე არ ვიცი რატომ უგულებელყოფთ ამას. როგორ შეიძლება შეადარო ყოფილი საბჭოთა კავშირი, უნიტარული, ტოტალიტარული წყობა და შეადარო აი ამ წესდებას, და იმ „სნგ“-ს საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც დღეს ჩვენ გვაქვს საუბარი აქა. ეს სულ სხვადასხვა ცნებაა. თანამეგობრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს, მე ვთქვი ეს და მეორე, ყველა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი ლანძვა-გინება, გაუაზრებელი დაპირისპირება რუსეთთან, მაშინ როდესაც საჭირო იყო ალბათ უფრო ელასტიური, დაბალანსირებული პოლიტიკა მათთან მიმართებაში. ჩვენ თვითონ შევქმენით ეს საფუძვლები და მივეცით იმის საშუალება, რომ აი ის რუსეთი ჩახუტებოდა აფხაზ სეპარატისტებს. სწორედ ამის შედეგია ის, რაც აფხაზეთში მივიღეთ. მე, კონკრეტულად, მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ჩვენი დამარცხებისა აფხაზეთის ომში. ახლა განა ეჭვი ეპარება ვინმეს, რომ აფხაზეთი ფაქტობრივად დაკარგულია. დარჩა იურიდიული გაფორმება ამ დაკარგვისა, რისკენაც მიილტვიან აფხაზი სეპარატისტები და მათი თანამოაზრენი. რითი შეიძლება ამას ალვუდგეთ. არის თუ არა რაიმე ტულად გან[illegible] ჩვენ აქ, თუ რა ეკონომიკური მდგომარეობაა, რა სოციალური მდგომარეობაა, ვის აწყობს დღეს გართულების გზით სიარული. მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სოციალური მდგომარეობა არა მარტო ლტოლვილების, არამედ მკვიდრი აი იმ რაიონების, იმ რეგიონების მოსახლეობისა იმ დონემდე არის მისული, რომ თუ არა რაღაც კონკრეტული ნაბიჯები, ალბათ ჩვენ დღეს თუ არა ხვალ სოციალური აფეთქების წინაშე დავდგებით. მაშინ არ იკითხავს არავინ ვინ იყო „სნგ“-ს მომხრე, ვინ იყო „სნგ“-ს წინააღმდეგი, ერთიანად წალეკავს ამ ხელისუფლებას და საერთოდ ყოველ ჩვენთაგანს. ეს იქნება სწორედ ის შედეგი, რომლისკენაც ჩვენ გვიბიძგებენ აფხაზი სეპარატისტები, მათი თანამოაზრენი. ამისკენ მიილტვიან

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

მთლიანი დამოუკიდებლობა, თავისუფლება, აყვავებული საქართველო. დამეთანხმებით, რომ აი ამ ცნებებს, ამ მიდგომას ალტერნატივა არა აქვს. მაგრამ მე არა მგონია, რომ მარტო სურვილი საქმეს წინ წაადგება და ჩვენ დღეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მივიღოთ ერთადერთი უტყუარი ჭეშმარიტი გადაწყვეტილება. მე არასოდეს არ მქონია პრეტენზია პოლიტიკოსობაზე, მე ვარ პროფესიონალი იურისტი, იცით თქვენ, მაგრამ ბოლო 7-8 წლის განმავლობაში მთლიანად საქართველოში მიმდინარე პროცესების შუაგულში ვიმყოფებოდი, ვიცი და შევხედე შიგნიდან და დავინახე ეს პრობლემები შიგნიდან, როგორც იტყვიან. მინდა როგორც პრაქტიკოსმა იურისტმა კონკრეტულად შევაჩერო თქვენი ყურა-

1200000-ზე მეტი მაცხოვრებელი ჰქვია იმ რეგიონში. ყველაფერი ეს, მიუხედავად იმისა, რომ მე არც ერთი პარტიის, არც ერთი ფრაქციის სახელით არ გამოვდივარ, არამედ გამოვდივარ, როგორც ერთი პარლამენტარი თქვენს წინაშე, მაძლევს უფლებას, რომ შევაჩერო თქვენი ყურადღება შემდეგ საკითხებზე: მე პირადად, როგორც პარლამენტარი, ერთი პიროვნება ხმას მივცემ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მის პრეამბულაში, კერძოდ პირველ მუხლში ნათქვამია, რომ თანამეგობრობის ყველა წევრი საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სუბიექტი არის. და ის ეფუძნება ყველა მისი წევრის ლაზე ძირითადი ფაქტორი, რაც მე მინდა ხაზგასმით აღინიშნოს, ეს არის ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სიტუაცია, რა სიტუაციაშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით. მე არა მგონია, რომ დღეს ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს და მე ამ კითხვას თვითონ დავუსვამ ჩემ თავს, რომ აფხაზეთში ჩვენს მიერ წაგებული ომის ძირითადი ფაქტორი ასე თუ ისე იყო იმ რეაქციული რუსეთის, თუ რუსეთის, როგორც გნებავთ, აღიზიანებს ზოგიერთებს რეაქციულის გამოყოფა, მონაწილეობა და ერთიანი ძალისხმევის მომართვა ჩვენს წინააღმდეგ. საქართველოს წინააღმდეგ აი ამ ომში. კი, ბატონო, მე არასდროს არ უარვყოფდი ამას, რომ ეს ფაქტია, მაგრამ მოდი გავიხსენოთ ჩვენ ჩვენი წარსული ბოლო 3-4 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით, როცა

შანსი ამ „სნგ“-ს წესდების ხელმოწერით და თუ გნებავთ შეერთებით, რომ რაღაც უკან დასახევი გზა დავიტოვოთ, რაღაც პერსპექტივაში დავიტოვოთ. მე კატეგორიულად ვაცხადებ, როცა წესდებაში საუბარია და მე-3 მუხლი ამაზე მკაფიოდ მეტყველებს, რომ „სნგ“ კატეგორიულად უარყოფს ნებისმიერ ტერიტორიულ დანაწევრიანებას, ნებისმიერ ძალისმიერ ფაქტებს აი ამ მიმართულებით ის არ ცნობს და ის ცნობს მხოლოდ ტერიტორიულ ერთიანობას, მე ვფიქრობ, რომ ეს ის შანსია, სამწუხაროდ, მე ამას ხაზს ვუსვამ, რომელიც დღეს ჩვენ დაგვრჩენია, რომ ეს იურიდიული საფუძვლები დავიტოვოთ იმისათვის, რომ ხვალ და ზეგ პოლიტიკური გზით იქნება თუ სხვა გზით ჩვენ გვქონდეს რაღაც საფუძვლები და გვქონდეს აი ამ საკითხის ჩვენს სასარგებლოდ, ობიექტურად, ჭეშმარიტად ობიექტურად გადაწყვეტის საშუალება. აი რატომ მივცემ ხმას და დავუჭერ მხარს აი ამ რატიფიკაციას.

კიდევ ერთი მოტივი. მე ვახსენე აქ ლტოლვილები, ვახსენე მოსახლეობა, მაგრამ არ არის იმის საშუალება კონკრეისინი, აი ეს უნდათ რამეფრად რომ მოხდეს. მე გეკითხებით, როცა პრაქტიკოსებს უსმენთ, როცა ისინი გამოდიან ამ ტრიბუნიდან თუ პრესის საშუალებით, ტელევიზიით, ყველამ ვიცით და ცალსახად აღიქვამთ, რომ შეუძლებელია იზოლირებულ მდგომარეობაში მყოფმა საქართველომ გაართვას თავი ამ ეკონომიკურ სიდუხჭირეს და პრობლემებს. მაშასადამე, ეს ახალი პარტნიორები სად, ვის ხარჯზე შევიძინოთ ისინი? აი ამ სიტუაციაში ჩვენ დღეს ვამბობთ უარს იმ ძველ კავშირებზე, რომელიც, როგორც იტყვიან, შეიძლება განვიხილოთ როგორც შუალედური, როგორც ევოლუციის გზით აღმავლობისაკენ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი საქმის წარმართვის ერთ-ერთი საშუალება და ამაზე ჩვენ დღეს უნდა ვთქვათ უარი. მე პირადად ამაზე უარს ვერ ვიტყვი.

კიდევ ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. აქ მრავალჯერ ითქვა, თუ არის ალტერნატიული ვარიანტი და თუ არის გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, მაშინ ჩვენ თანახმა ვართო. მეც იგივე მინდა გავიმ-

გაგრძელება მე-7 გვ.

საქართველოს ტერიტორიაზე მაგისტრალური გაზსადენის გატარების შესახებ რუსეთთან საქართველოს ხელისუფლების მოლაპარაკებათა გამო საქართველოს სახალხო ფრონტის

განცხადება

1. საქართველოს სახალხო ფრონტს (სსფ) მიაჩნია, რომ ნებისმიერი ეკონომიკურად მომგებიანი ურთიერთობა ნებისმიერ მეზობელთან საქართველოსთვის სასურველია. ამავე დროს მიაჩნია, რომ ეკონომიურ ურთიერთობათა მსხვილი პროექტების შემუშავებისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების დროს საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს სტრატეგიული ინტერესები, საქართველოს დღევანდელი და ახლო მომავალში სავარაუდებელი მოკავშირეების ინტერესთა ჩათვლით. ამიტომ სსფ არ არის და ვერ იქნება იმის მომხრე, რომ რუსეთის „გაზპრომთან“ მოხდეს შეთანხმება საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო მაგისტრალური გაზსადენის რუსეთიდან თურქეთში გატარების შესახებ, რის შედეგადაც დაზარალდება „შაჰდენიზის“ ევენტუალურ ინვესტორთა ინტერესები და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება თვით ამ გაზსადენის მშენებლობის პერსპექტივა.

2. სსფ თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია რუსეთის კუთვნილი ან რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნებისმიერი სახის ობიექტების შექმნა, რომლებითაც რუსეთს საბაბი ეძლევა ამ ობიექტთა დაცვის მოტივით სამხედრო აქცია მოახდინოს საქართველოში: რუსეთი დღეს საქართველოს მიმართ შეტევით პოზიციაში დგას და ღიად გამოთქვამს ჩვენი ქვეყნისათვის მიუღებელ იმ აზრს, რომ მას საქართველოში კანონიერი ინტერესები აქვს, რომლებიც მას, თითქოს, საქართველოს შინაგან საკითხთა გადაწყვეტაში ხმისა და მოქმედების უფლებას აძლევს. ეს გახლავთ მეორე გარემოება, რის გამოც სსფ დაუშვებლად თვლის გაზსადენის „რუსეთი-თურქეთი“ გამოტარებას საქართველოზე.

3. სსფ თავის უფლებად და მოვალეობად რაცხს, შეახსენოს საქართველოსა და მსოფლიოს საზოგადოებრიობას, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ამა თუ იმ ლოკალურ წინააღმდეგობათა არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ამიერკავკასიაში გარე ძალთა ურთიერთბალანსი არსებობს, რომლითაც მეტ-ნაკლებად დაცულია ამიერკავკასიის სახელმწიფოთა უსაფრთხოება. არსებობს რუსეთისა და თურქეთის საქართველოზე ერთობლივი დარტყმის პრეცედენტი. სახელდობრ, 1921 წლის თებერვალში რუსეთმა და თურქეთმა ერთ დღეს დაიწყეს ერთობლივი შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით და მისი იძულებითი გასაბჭოებით დამთავრდა. საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა გაითვალისწინოს ამ პრეცედენტის არსებობა და მისგან გამომდინარე სადღეისო და სამომავლო საშიშროებები და არ შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე ორივე ამ სახელმწიფოსათვის საინტერესო საწარმო ან სხვა რამ ობიექტი სხვაგვარად თუ არ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ან სხვა სუპერძალების მხრიდან ოფიციალური ვალდებულების არსებობის პირობებში იმის თაობაზე, რომ საქართველო სამხედრო ძალით დაცული იქნება მასზე დიდი მეზობელი ქვეყნის თავდასხმის შემთხვევაში.

2.VI.2003 წ.

ირანი, ამერიკა და ევროპელი უუფლებანი

პირველსა და უკანასკნელებს შორის საერთო ენის გამონახვის მცდელობა არ წყდება. უფრო მეტიც, ამერიკელები საყვედურობენ ევროკავშირს, რომ უპატიური რეჟიმის ლეგიტიმაციას უწყობს ხელს. პრეზიდენტი ხატამი აცხადებდა თავის დროზე თავის ამბიციურ განზრახვას, რომ ისლამური და დემოკრატიული ღირებულებების შერიგებას შეძლებს. ირანთან თანამშრომლობის მაძიებელი ევროპელები თავის პოლიტიკას იმით ამართლებენ, რომ საერთო ენის ამ ძებნით ისინი აძლიერებენ რეფორმისტების პოზიციებს თვით ირანში. მაგრამ ამ მიმართულებით ევროპელთა წინსვლა ჯერჯერობით მცირეა. ასე, მაგალითად, ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისრის ქრის პატენის ამასწინანდელმა სამდღიანმა სტუმრობამ ირანში ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეს მხოლოდ ის შესძინა, რომ უმაღლესმა მოსამართლემ მას აღუთქვა მორატორიუმის გამოცხადება მოღალატე ცოლების ჩაქოლვაზე (და არა თვით სათანადო კანონის გაუქმება). რაც შეეხება უფრო დიდი მასშტაბის პრობლემებს, აქ ევროპელმა დიპლომატმა, THE ECONOMIST-ის ცნობით, ვერ მიაღწია ენაწყლიანი და ზომიერად განწყობილი პრეზიდენტის თანხმობას, რომ მეტ-ნაკლებად მკაცრ მონიტორინგს დაუქვემდებაროს ირანის ფრიად წინააღმდეგობრივი ბირთვულ-ენერგეტიკული პროგრამა.

საყურადღებოა, რომ დასავლელებთან, მათ შორის — ამერიკელებთან დაახლოებას კონსერვატორებიც ისევე გაფაციცებით ეძებენ, როგორც რეფორმისტები. „ხიბლის შეტევა“ ამერიკელებზე დაწყებულია. ერაყის ომის წინ ამერიკელებისაგან უნდოდათ პირობა, რომ ერაყის ტერიტორიას არ გამოიყენებენ პლაცდარმად ირანის წინააღმდეგ. ამერიკელებისადმი ირანის პოზიციის შერბილებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათთან ხიდის გადებას ცდილობს კონსერვატორი, თუმცა დიდი პრაგმატისტი, ყოფილა პრეზიდენტი რაფსანჯანი, რომელმაც ცუდად დაახსომა თავი რეფორმისტებს, და მას ამაში ხელს არ უშლის ირანის სასულიერო უმაღლესი ლიდერი ხამანეი. ირანელ კონსერვატორთა გულის ამ მოლბობის საიდუმლოს THE ECONOMIST ხედავს, ერთის მხრივ, ამ კონსერვატორთა ხელისუფლების დასუსტებაში, მეორეს მხრივ კი ბუშის აშკარად გამოხატულ ანტიპათიაში მისდამი, რაც ამერიკის პრეზიდენტმა მკაფიოდ გამოთქვა თავის მიმართვაში ამერიკელი ხალხისადმი. როცა თქვა, რომ ირანს რეპრესიის ქვეშ ჰყავს თავისი ხალხი, რომ იგი მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებას ესწრაფის და ხელს უწყობს ტერორს. კონსერვატორები თავის კეთილგანწყობილ ჟესტებს იმით ამართლებენ, რომ ბუშის გულისწყრომის დაშოშმინება ხელს შეუწყობს მათთვის მომგებიანი შინაგანი ვითარების გაგრძელებას. თუმცა პრაგმატისტთა ამ ზრდილობიანი პოლიტიკის წარმატებას ჩახედული ადამიანები სკეპტიკურად უყურებენ — ამერიკელების გულის მოლბობას ირანელთა მხრიდან ძალიან ბევრი რამის დათმობა დასჭირდებაო, — ბეჯითი ევროპელები ცდილობენ დაუზუსტონ იმ მოთხოვნათა მინიმალური ჩამონათვალი, რაც ჩატეხილი ხიდების აღდგენას სჭირდება.

ირანის ყოფილი პრეზიდენტი რაფსანჯანი.

საკითხავია: როგორ თავსდება ზემოაღწერილ სქემაში ირანის ის აშკარად რუსეთიდან მომდინარე ინიციატივა, რომ შეიქმნას თავდაცვის ერთიანი რეგიონალური სისტემა, რომელშიც რუსეთიც იქნება ჩაბმული და, სხვებთან ერთად, საქართველოც? და კიდევ: **რას ნიშნავს და რამდენად სერიოზულია ირანის მუქარა, რომ, თუ საქართველოს ტერიტორიას ამერიკული მხარე გამოიყენებს ირანის წინააღმდეგ სამოქმედოდ, ამას მოჰყვება ირანელთა საპასუხო დარტყმა საქართველოზე** (უფრო ზუსტად: ირანის პოზიციის ის ინტერპრეტაცია, რომელსაც რუსული მასმედია და რუსული პოლიტიკური საზოგადოებრიობა იძლევა)? ამ კითხვებს, ერთის მხრივ, მარტივი პასუხი აქვს. პირველი ინიციატივა გამოთქმულია მხოლოდ რუსეთის ხათრით, რომლისგანაც ირანი მრავალმხრივად არის დამოკიდებული, მეორე პოზიცია კი ერთ-ერთი ელემენტია რუსეთის მიერ ომის პირდაპირი და არაპირდაპირი სიმულაციისა, რომ იგი მზადაა დასავლეთის გამოწვევა მიიღოს და სრულმასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში ჩაებას (თავისი მოკავშირეებითურთ) კავკასიასა და მის მიმდებარე რეგიონებში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად. მაგრამ გასათვალისწინებელია უფრო რთული ახსნის შესაძლებლობაც. ხომ არ მუშაობს დეზინფორმაციის რეალური მექანიზმი იმ შთაბეჭდილების შესაქმნელად, თითქოს საქართველო მართლაც ნაბიჯებს დგამს მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტში ჩასაბმელად ისე, რომ არც ერთ ძალასთან იურიდიულად გაფორმებული და სანდო სამოკავშირეო ხელშეკრულება არა აქვს (რადგან ასეთი ნაბიჯის არგადადგმის გარანტიას ქვეყანას მხოლოდ ბრძენი და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ხელისუფლების ყოლა აძლევს)?

მსოფლიოსთვის არასაინტერესო ომი

არასაინტერესო იგი იმიტომ არის, რომ არც ერთი მოწინავე სახელმწიფოს ინტერესებს პირდაპირ არ ეხება. მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს, რომ უკიდურესად სისხლიანი იყოს. საუბარია კონგოში მიმდინარე ომზე. ბელგიის ეს ყოფილი კოლონია განთავისუფლდა 1950-იანი წლების დამლევს. 1998 წელს მას რეჟიმის დამხობის მიზნით შეუტიეს მეზობელმა რუანდამ და უგანდამ, ხოლო რეჟიმის დაცვის მიზნით ჯარები შეიყვანეს ზიმბაბვემ, ანგოლამ და ნამიბიამ. მსხვერპლი ამ არაგლობალურსა და არა მსოფლიო მნიშვნელობის კონფლიქტში 3,5 მილიონ ადამიანად იანგარიშება, თუმცა დაზუსტებით ვერავინ ვერაფერს ამბობს. ომის მონაწილენი უზომოდ ძარცვავენ ქვეყანას და ხოცავენ მოსახლეობას. გარკვეული წინსვლა დაზავების მიმართულებით არის, მაგრამ ჯერ მას პრაქტიკული შედეგისთვის ვერ მიუღწევია. ამ მხრივ ძალიან ნაყოფიერად აქტიურობს სამხრეთ აფრიკის დიპლომატია. გაეროს სამშვიდობო კონტინგენტი, რომლის წლიური ბიუჯეტი 600 მილიონ დოლარს შეადგენს, ვერაფერს აღწევს. მისი მებრძოლები სროლის ხმის გაგონებაზე უკან იხევენ. მოწინავე სახელმწიფოებს არ ეხალისებათ ჯუნგლებში სასიკვდილოდ თავისი ჯარისკაცების გაგზავნა. არის აზრი, რომ სამშვიდობო მისია დაეკისროს რეგიონულ სუპერძალას — ანგოლას, რომელსაც შედარებით ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავს, მაგრამ ეს პროექტი გარკვეულ პოლიტიკურ შიშებს იწვევს კონფლიქტის სხვა მონაწილეებში და მეზობლებში. კონგო, როგორც სახელმწიფო, ფაქტობრივად დანაწევრებულია. ხოცვა-ულეტას, განსაკუთრებით — მშვიდობიანი მოსახლეობის — უკიდურესად უწყალო, ბარბაროსული ფორმები აქვს. მკვლელობის მოტივებია ყაჩაღური სიხარბე, პოლიტიკური თუ სტრატეგიული ინტერესი, ტომობრივი სიძულვილი.

კონგოს ომის მონაწილეთა ჯგუფი.

კონგოს მაგალითი ნათლად მეტყველებს იმ ბნელ პერსპექტივაზე, რომელიც ცუდად მართულ ქვეყნის მოსახლეობას აქვს თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოშიც კი.

(მასალა აღებულია THE ECONOMIST-იდან)

პაპი ახალგაზრდებს მოუწოდებს



რომის პაპმა იანე პავლე II-მ თავისი 99-ე საზღვარგარეთ მგზავრობის დროს მადრიდის მახლობლად მდებარე ავიაბაზაზე 600 ათას ახალგაზრდას მოუწოდა, რომ დღეს, როცა „ძალადობის, ტერორიზმისა და ომის სპირალი სიძულვილსა და სიკვდილს შობს“, ამ მოვლენას „სიყვარულის მომნუსხველი ძალის“ აყოლით უპასუხონ და „მტრობა დაამარცხონ მიმტევებლობის ძალით“. როგორც ესპანური პრესა აღნიშნავს, ახალგაზრდები მას ენთუზიაზმით უსმენდნენ და არ უნდოდათ, მას ლაპარაკი შეეწყვიტა. (THE NEW FEDERALIST)

ჩინეთის 9%

პარადოქსალურად არ უნდა ეღერდეს, რომ ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნაწილად განსაზღვრავს მსოფლიოს უახლოესი მომავლის, საქართველოს მომავლის ჩათვლით, კონკრეტულ სახეს. ეს ტემპი უკვე რამდენიმე წელია უაღრესად მაღალ ნიშნულზე — წლიური მატების 8%-ზე დგას. 2003 წლის პირველ კვარტალში მან წლიური 9%-ის შესაბამისი ციფრი გვიჩვენა. FINANSIAL TIMES ამ ახალი წარმატების ძირითად მიზეზად იმას ასახელებს, რომ „ჩინეთმა დაიწყო მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) თავისი შესვლის ნაყოფის მომკა“. ჩინეთში, ამ გაზეთის სიტყვით, მომხდარია გადანაცვლება „ცენტრალური სახელმწიფო დაფინანსებიდან“, როგორც ეკონომიკის ზრდის ფაქტორიდან, „მომხმარებლის“ ფაქტორზე.

ჩინეთის ეს კითარება ფრიად განსხვავებულია, გაზეთის სიტყვით, აშშ-ს მდგომარეობისაგან, რომლის სამრეწველო პროდუქცია ამავე მარტის მანძილზე უფრო ჩქარა დაქვეითდა, ვიდრე ამა წლის რომელსამე სხვა თვეში დღემდე, და გერმანიის მდგომარეობისგანაც, სადაც წლის პირველი ექვსი თვისთვის ნავარაუდევია მხოლოდ წლიური 0,5%-ის შესაბამისი ზრდა. შემდგომი ზრდა, რომლის ყველაზე თავშეკავებული პროგნოზია 7 წელიწადში, ჩინეთის ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს როგორც 2020 წლისათვის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (GDP) გაოთხმაგება და 4 ტრილიონი დოლარის დონის მიღწევა. გაზეთის სიტყვით, ჩინეთისთვის ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ „გაუმჯობესდა ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ხარისხი“. სახელდობრ, თუ ადრე, შინაური დეფლაციის პირობებში, ზრდის მამოძრავებელი იყო სახელმწიფოსმიერი ხარჯები (რომლებიც ბიუჯეტში დეფიციტებს აჩენდა), ამჟამად შინაური მოთხოვნილება გაიზარდა, და უფრო თვითკმარად გამოიყურება“.

საცალო ვაჭრობის ზრდა თუ 2002 წელს 8,8%-ს შეადგენდა, ახლა იგი 10,1%-ზე ავიდა. ამ ცვლილების მთავარი შემადგენელი ნაწილია ავტომანქანების მოთხოვნილების გაზრდა. ა. წ. პირველ კვარტალში ჩინეთის საწარმოებიდან 440 ათასი მანქანა გამოუშვეს. მკვეთრად გაიზარდა ფოლადის მოთხოვნილებაც — ძირითადად, უთუოდ, ავტომრეწველობის მომარაგების ამოცანის წყალობით. მანქანების გასაღების გაზრდა გამოიწვია ფასების დაკლებამ, ეს დაკლება კი — საიმპორტო ბაჟის შემცირებამ და ამით კონკურენციის გაძლიერებამ, რაც მოჰყვა WTO-ში შესვლას. ამავე მიზეზმა გამოიწვია უცხოური ინვესტიციების ზრდა, რომლებმაც შარშან უკვე 52,7 მილიარდი დოლარი შეადგინეს. წლეულს კი 57%-ით გაზრდა ელით საინვესტიციო პირობათა გაუმჯობესების წყალობით.

სკეპტიციზმი ერაყის ნავთობის გამო

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ სადამ ჰუსეინის დამხობას, როგორც უზურპატორისა და დამნაშავისა (და არა მის უბრალოდ აორთქლებას და სცენიდან გაქრობას) ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა მის მიერ რამდენსამე ძლიერ ქვეყანასთან დადებული ხელშეკრულებების გაბათილება, რომლებიც მოქმედებაში ვერ შედიოდა იმის გამო, რომ ამ ხელშეკრულებათა საგანს — ერაყის ნავთობის გაყიდვას — ემბარგო ჰქონდა დადებული გაეროს მიერ. როგორც გაზეთიდან NENE SOLIDARITAT ვტყობილობთ, დღეს გარკვეული წინააღმდეგობა ეწევა ამ ემბარგოს გაუქმებას (მოხსნას) და ერაყის მიერ თავისი ექსპორტის განახლებას. მოტივი, რომელიც ამ წინააღმდეგობის გამწევმა შეიძლება დაიმოწმოს, ისაა, რომ ემბარგოს მოხსნის უფლებამოსილება მხოლოდ მის დამდებს — გაეროს — აქვს, რაც, ჯერჯერობით, არ მომხდარა. ხოლო არაოფიციალური, გულის სიღრმეში ჩამარხული მოტივი ამ წინააღმდეგობის გაწევისა შეიძლება ის იყოს, რომ ერაყის ნავთობის გამოსვლა მსოფლიო ბაზარზე გარდუვალად დასცემს ნავთობის ფასს და ამით მკვეთრად შეუმცირებს ქმედუნარიანობას რუსეთს, რომლის ბიუჯეტსაც ნავთობის ექსპორტით მიღებული თანხები აცოცხლებს. მეორე ღიად გამოსათქმელი არგუმენტი ზემოხსენებული მოწინააღმდეგეებისა ის არის, რომ ერაყს არ ჰყავს (და საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებამდე ვერ ეყოლება) ლეგიტიმური ხელისუფლება, მაშასადამე — ვერც ინსტანცია, რომელსაც ნავთობის გაყიდვის უფლება ექნება (რადგან 1907 წლის ჰაგის კონვენციით და 1947 წლის ჟენევის კონვენციით უცხოელის მიერ დასმული მარიონეტული ხელისუფლებები ვერ განიხილებიან როგორც ლეგიტიმური ხელისუფლებანი).

(NENE SOLIDARITAT)

მიგრაცია მსოფლიოში

(და მისი კავშირი საქართველოს პრობლემებთან)

ერთ-ერთი საშიშროება, რომელიც საქართველოს მომავალ არსებობას ემუქრება, მოიცავს მიგრაციის ფაქტორს, როგორც თავის ერთ-ერთ შემადგენელ მექანიზმს, საქართველოს ხელოვნური გალატაკების მრავალწლიანი პოლიტიკა (რომელიც დღეს, შეიძლება ითქვას, არავისთვის საიდუმლო აღარ არის) იწვევს მასობრივ ემიგრაციას, ძირითადად — მოსახლეობის ყველაზე დინამიური, შრომისუნარიანი, ნიჭიერი და ზრდისუნარიანი ახალგაზრდობის სახით. (მონაცემები ემიგრანტთა რაოდენობის შესახებ მერყეობს 800 ათასსა და 1500 ათსს შორის). ამ პროცესის პარალელურად მიმდინარეობს საქართველოს ეკონომიკის ე.წ. საკომანდო სიმაღლეების უცხოელებისთვის მიყიდვის პროცესი, რომელიც — თუ არსებული კურსი გაგრძელდა — დღიდან დღეზე ჩაითრევს ძირითად ეროვნულ სიმდიდრესაც — სასოფლო-სამეურნეო მიწას. ეს პროცესიც ქართველი საზოგადოების მეტ-ნაკლებად განათლებული ნაწილისათვის ცნობილია. მაგრამ თითქმის უცნობია მდგომარეობისა და პერსპექტივის მესამე შემადგენელი ნაწილი; საქმე ის გახლავთ, რომ ევროკავშირის დებულებით (საქართველო კი ევროკავშირში შესვლას, მრავალი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, აქტიურად ესწრაფვის და უნდა ესწრაფოდეს კიდეც) მუშახელის მოძრაობა კავშირის წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალია. მაშასადამე, თუ მოვლენებმა თავისი დღევანდელი კალაპოტით იდინა, მოხდება შემდეგი: უცხოელი მესაკუთრე თავის კუთვნილ საწარმოში მიიყვანს უცხოელ მუშა-ხელს (ზოგს — კვალიფიკაციის ეშხით, ზოგს — სიიაფის ეშხით, ზოგს — ენის ცოდნის ეშხით და ზოგს — იმ მარტივი მიზნით, რომ საკუთარ ქვეყანას უმუშევრობის პრობლემა შეუმსუბუქოს) და საქართველოში არსებული წარმოების მომუშავე ნაწილი (ხვნა-თესვისა და ძროხის წველის ჩათვლით) მთლიანად უცხოელთა ხელში იქნება. (ეკონომიკის ზეეროვნული წყობის ამგვარი მექანიზმები ცნობილია და მათზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ). იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს და ვერ მოხდეს, საქართველო ზემოხსენებულ ფაქტორთა მოქმედებას მომზადებული უნდა შეეხვდეს. სხვა ფაქტორთა შორის მან უნდა იცოდეს მიგრაციის პროცესის მექანიზმებიც და ისიც, თუ როგორ ახერხებენ ან გეგმავენ თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფალნი ამ მექანიზმთა საშიში მხარეების განეიტრალებას, ერთის მხრივ, და მათი პოზიტიური მხარეების გამოყენებას, მეორეს მხრივ.

მკითხველს ვთავაზობთ (შემჭიდროვებული სახით) ამ თემის მიმოხილვას ჟ. THE ECONOMIST-ის მიხედვით. მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს ბრიტანული ჟურნალი ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური, ობიექტური და ღრმად ანალიტიკური ჟურნალია მსოფლიოში, რომელიც პრობლემებს ყურადღების ზუსტად იმ დოზას უთმობს, რომელიც ეკუთვნის ამ უკანასკნელთა მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრებაში. შევახსენებთ მკითხველს ვითარების ერთ მხარესაც, რომელსაც ჟურნალი არ ახსენებს, რადგან იგი დასავლელი მკითხველისთვის იმთავითვე ცნობილია, ქართველი მკითხველის წინაშე კი შესაძლოა, კომენტარს საჭიროებს. სახელდობრ, კითხვას „რატომ არის განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მიერ ესოდენ ფართოდ დაშვებული, რომ მათ სახელმწიფოში მრავალმილიონიანი ემიგრაცია ხდებოდეს?“, ნათელი პასუხი აქვს. ეს პასუხია: იმიტომ, რომ განვითარებულ ქვეყნებს დანარჩენი ქვეყნები ისევე სჭირდება, როგორც დანარჩენებს — ეს განვითარებული ქვეყნები. განვითარებად ქვეყნებს ვერ შეუშლით თანამედროვე მეცნიერებთან, ტექნიკასთან, პოლიტიკურ აზრთან მისვლას. ხოლო თუ მათ ახალ პოტენციალს გზა გადაუკეტეთ თქვენი ქვეყნისკენ, ეს შექმნის აფეთქების ისეთ მუხტს, რომელსაც მსოფლიო წესრიგი გადაპყვება“.

I. რა უყონ განვითარებულმა ქვეყნებმა იმიგრანტებს და იმიგრაციის მსურველებს?

ყველაზე საყურადღებო იდეა, რომელსაც ჟურნალი გვთავაზობს, ის გახლავთ, რომ იმიგრანტებთან დამოკიდებულების თემა ფართო საზოგადოებას არ უნდა მიეწოდებოდეს, მხოლოდ როგორც ამ უკანასკნელებზე მზრუნველობის თემა, რასაც, ბუნებრივია, დემოკრატიულ საზოგადოებაში გავრცელებული ჰუმანისტური ნორმები მოითხოვს. იგი უნდა მიეწოდებოდეს, ამასთანავე, როგორც თვით მასპინძელ ქვეყანაზე და მის მოსახლეობაზე მზრუნველობის თემა, ანუ როგორც იმის განხილვა, თუ საკითხისადმი, რომელ მიდგომას .რა „პლუსები“ და „მინუსები“ აქვს მასპინძელი ქვეყნისთვის და რატომ. ევროპის, შეერთებული შტატების, კანადისა და ავსტრალიის, აგრეთვე ზოგი სხვა ქვეყნების რეალობა ამ მხრივ შემდეგ სურათს გვიჩვენებს.

მსოფლიოს ზოგი ქვეყნის პასპორტი — სახელდობრ, ბედნიერი და მდიდარი ქვეყნებისა — გაძლევთ იმის უფლებას, რომ გადაკვეთოთ სხვა მდიდარი და ბედნიერი ქვეყნების საზღვარი, ზოგისა კი — სახელდობრ, ღარიბი და ნაკლებ ბედნიერი ქვეყნებისა — გაიძულებთ, რომ ამ მიზნით თქვენი სიცოცხლე სასწორზე დადოთ და ჩუმად შეპარვა ცადოთ. შრომის ფასში განვითარებულსა და განვითარებად ქვეყნებს შორის უფრო დიდი განსხვავებაა, ვიდრე საქონლის ფასებში ამავე ქვეყნებს შორის (ეს განსხვავება კი, როგორც ცნობილია, ძალიან დიდია). ამიტომ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მიგრაციის ლიბერალიზაცია (ანუ თავისუფალი გადაადგილების შემოღება უფრო დიდი სტიმული იქნებოდა დღეს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის, ვიდრე ვაჭრობის განთავისუფლება.

ასეთია ერთი თვალსაზრისი და ეს გახლავთ პირველი მიზეზი, რომლის გამოც ევროპელებს ჰმართებთ, გადასინჯონ თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება არაევროპელი იმიგრანტებისადმი, როცა ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ გამოსვლა ყველაზე მძლავრ და უტყუარ იარაღად ქცეულა ყველა ჯურის პოპულისტის ხელში. მეორე ის გახლავთ, რომ იმიგრაციის არსებობაც და მისი დიდი მასშტაბებიც გარდუვალია და მთავრობათა რაგინდარა ძალისხმევა, რომ იგი შეაჩერონ სასაზღვრო კონტროლით, იმთავითვე განწირულია დასამარცხებლად. კომპანიებს სჭირდებათ უცხო მუშები და სჭირდებათ თავისი პერსონალის გადაყვანა-გადმოყვანა ყველგან, სადაც საწარმოები აქვთ. მდიდარ ქვეყნებში იქმნება აუარებელი სამუშაო ადგილები, რომელსაც ადგილობრივები უკადრისობენ, როგორიცაა, მაგალითად, თევზის ფაცვრა და კაფეში მაგიდების გადაწმენდა. მიგრაციას ხელს უწყობს ტრანსპორტისა და კომუნიკაციის გაადვილება. ყოველივე ამის შედეგად ზოგი ევროპული ხელისუფლება იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ უმჯობესია ამ პროცესის რეგულირება სცადოთ და საზოგადოებას მისი ამ რეგულირების საჭიროება აუხსნათ მისივე ინტერესებიდან გამომდინარე.

მესამე მიზეზი ის გახლავთ, რომ ემიგრანტები არც ისე მიუღებელნი არიან ყოფითი ყოველდღიურობის თვალსაზრისით, როგორც ამას მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის მასა განიცდის, განსაკუთრებით — ევროპელებისა (ამერიკელები, კანადელები, ავსტრალიელები და ახალ ზელანდიელები, როგორც ემიგრანტი მოსახლეობის შთამომავალნი, ამ მხრივ უფრო შემწყნარებელნი არიან). მართალია, იმიგრანტებს თან მოაქვთ ახალი ზნე-ჩვეულებები, კერძები, შეხედულებები, ქცევა, უცხო ენა და, ყოველივე ეს შეიძლება გამაღიზიანებელიც იყოს. მაგრამ სამაგიეროდ ხომ აცოცხლებენ ისინი ფეხბურთის გუნდებს და მუსიკას, რაც მთავარია — ხომ უწყობს ხელს მათი გვერდით ყოფნა ადგილობრივთა თვითშემეცნებას, კონსოლიდაციას, თვითმობილიზაციას! ამერიკის 1,5 მილიონი მუსლიმანი საშუალოდ უფრო მდიდარი და უფრო განათლებულია ამერიკელზე (ისინი, ძირითადად, პოლიტიკური მოტივებით ემიგრირებული ელიტები არიან). მათი ერთგულება მათი რელიგიისადმი არ აიძულებს ადგილობრივებს, მათ ამაში მიჰბაძონ ან გაეჯიბრონ! განა ევროპის „სკლეროზირებად“ მოსახლეობას არ სჭირდება გაახალგაზრდავება იმიგრანტთა შემოსვლით და განა იმიგრანტი ქალები არ ასწორებენ ადგილობრივთა იმ ნაკლოვანებას, რომ მდიდარი წრის ქალები ხშირად უკადრისობენ დედობას! გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ძალიან დახელოვნებულთა“ ანუ ნიჭიერთა შემოყვანა სასარგებლოდ არის აღიარებული ყველა ქვეყნისთვის, ხოლო სრულებით დაუხელოვნებელთა შემოყვანა — მდიდარი ქვეყნებისათვის (მიზეზი ზემოთ უკვე აღვნიშნეთ). თუ ყოველივე ამას ვუხსნით ფართო მოსახლეობას, იგი მიემხრობა იმიგრაციის რეგულირების პოლიტიკას, მისი შიშველი შეზღუდვის ნაცვლად.

ამ მოტივს ზედ ემატება უფრო „ტექნიკური“ მოტივებიც: როცა იმიგრაცია ძალიან გაძნელებულია, ერთხელ შემოსული იმიგრანტი სამუდამოდ რჩება, ხოლო თუ იმიგრაცია გაადვილდება, ბევრი სამშობლოში დაბრუნდებიან ხოლმე.

II. რას აძლევენ ემიგრანტები თავის მიტოვებულ სამშობლოს?

ეს ურთიერთობა ორმაგია: ემიგრაციას მოგებაც მოაქვს და ზარალიც. მოგების ყველაზე მარტივი და ადვილად დასანახავი სახეა ფულადი გზავნილობები. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გაცოცხლებაში მათი როლი ზოგჯერ ძალიან დიდია. უფრო რთული ფორმაა ის, რომ მაღალი კვალიფიკაციის პირთა გასვლა ათავისუფლებს მათ ადგილებს და სტიმულს აძლევს სხვებს, რომ სათანადო კვალიფიკაციებს დაეუფლონ. დიდი დანაკლისია ქვეყნისათვის კვალიფიციურ სპეციალისტთა გადინება — ე.წ. „ტვინის გაწოვა“ — იმ შემთხვევაში, როცა ეს პროცესი გამოწვეულია არა კვალიფიცირებულ სპეციალისტთა სიჭარბით ამ ქვეყანაში, არამედ მხოლოდ უკეთეს პირობათა შემოთავაზებით. უმრავლეს შემთხვევაში ეს მართლაც ასე ხდება, მაგრამ არა ყოველთვის. ზოგჯერ პირქთაცაა: მაგალითად, 2001 წელს აშშ-ში მილიონი ინდოელი ცხოვრებდა, რომელთაგანაც სამ მეოთხედს ჰქონდა ბაკალავრის საუნივერსიტეტო ხარისხი და ზევით. ყველაზე სასარგებლოა ქვეყნისათვის სპეციალისტთა გასვლა არა ემიგრაციის, არამედ წასვლა-მობრუნების წესით: მიდიან და კვალიფიკაციაამაღლებულნი ბრუნდებიან ან მუდმივ მონაწილეობენ თავისი, ქვეყნის პროფესიულ ცხოვრებაში საზღვარგარეთ მუშაობის პარალელურად. ურთიერთობის ასეთი ფორმა „ტვინის გაწოვა“ კი აღარაა, არამედ „ტვინის ცირკულაცია“.

ჟურნალის მსჯელობას ამ თემაზე წითელ ხაზად გასდევს იმის კონსტატაცია, რომ ჩამოთვლილ „პლუსებს“ სამშობლო ქვეყნის მთავრობის ზრუნვა სჭირდება. ჯერ ერთი, ქვეყანაში კორუფციას არ უნდა ჰქონდეს ისეთი ზომა, რომ გზავნილები იკარგებოდეს. მეორეც, მთავარობა უნდა ცდილობდეს საჭირო სპეციალისტების სტიმულირებას არწასასვლელად, შემდეგ — მოსაბრუნებლად ან სათანამშრომლოდ.

III. საით წავა იმიგრაციული პოლიტიკა მომავალში?

ბუნებრივია, რომ იმიგრაციული პოლიტიკა დაგეგმილი იქნება და ეს დაგეგმვა მოხდება იმ მეცნიერული ანალიზების მიხედვით, რომელთა ძირითად ხაზებსაც გვაცნობს ჟურნალი, პირველ ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ის დიდი ეკონომიკური ზრდა მუშახელის თავისუფალი გადაადგილების დაშვების შემთხვევაში (დაახლოებით 150 მილიარდი დოლარი წლიურად), რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ეხება მსოფლიოს ეკონომიკას მის მთლიანობაში და არა ყოველ ცალკეულ ქვეყანას, პირველ ყოვლისა — მასპინძელ მდიდარ ქვეყანას. ამ უკანასკნელის შესახებ არსებობს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტის ფრიდმანის აზრი, რომ „საუბედუროდ, არ შეიძლება ერთდროულად გქონდეთ შეუზღუდავი იმიგრაცია და კეთილდღეობითი სახელმწიფო“. დღეს, მართალია, იმიგრანტს, რომლის პროფესიულ მომზადებაშიც მასპინძელ სახელმწიფოს ხარჯი არ გაუღია, 10%-ით მეტს უხდის მას, ვიდრე მისგან იღებს სხვადასხვა ხარჯების სახით. მაგრამ შემდეგ ამგვარი უთანასწორობა გასწორდება იმ ხარჯების გამო, რომელსაც სახელმწიფო გაიღებს მისი ოჯახისათვის და მისი უზრუნველყოფისათვის სიბერეში, ასე რომ მისგან მიღებული ეკონომიკური მოგება ამ სახელმწიფოსათვის მცირე იქნება. გაუმართლებელია, ჟურნალის დასკვნთ, ის იმედიც, რომ მოსახლეობის გაახალგაზრდავება, რომელიც იმიგრაციას მოსდევს, დიდი ხნით დაიცავს ევროპის ქვეყნების მოსახლეობას (რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, კლებადია) ასაკობრივი სტრუქტურის ცვლისაგან, სახელდობრ, დაბერებისაგან, რომლის გამოც პენსიონერები სულ უფრო და უფრო მძიმე ტვირთად აწვებიან მომუშავეებს. მიგრაციის შედეგად პენსიების ეს ტვირთი, პროპორციულად, შემსუბუქდება, მაგრამ ცოტათი (ყველა ეს გათვლები აღწევს 2050 წლამდე). ამ მოგებას კიდევ უფრო ამცირებს ის, რომ დაუხელოვნებელი მუშახელის შემოყვანა დიდი რაოდენობით ამცირებს ეკონომიკურ სტიმულს შრომის მექანიზაციისა და ტექნოლოგიის ხარისხის ამაღლებისათვის.

ვინაიდან განსხვავება ერთი და იმავე შრომის ანაზღაურებაში ღარიბ ქვეყნებსა და მდიდარ ქვეყნებს შორის უზარმაზარია, ემიგრაციის მსურველთა მოწოლაც უზარმაზარია. ვინაიდან მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობას იმიგრანტები აშკარად არ უნდა კულტურული ფონის (რელიგია, ენა, ზნე-ჩვეულებები და ა.შ.) განსხვავებულობის გამო. ეს ფაქტორიც უზარმაზარია, თუმცა ამ ქვეყანათა მოსახლეობას, ჟურნალის სიტყვით, მაინც მოუხდება ამ იმიგრაციის „გადაყლაპვა“, როგორც ფაქტისა, ისევე როგორც მოუხდება გლობალიზაციის არაერთი სხვა არაპოპულარული მხარის „გადაყლაპვა“.

რა დასკვნები გამომდინარეობს ყოველივე თქმულიდან სამომავლოდ?

ჟურნალის რეკომენდაციები — და, საფიქრებელია, მომავალი პოლიტიკის პერსპექტივაც — შემდეგია.

1. უნდა მოხდეს შრომის ბაზრის რეგულირება (ეკონომიკური ბერკეტებით) და არა იმიგრაციის შემცირება. ამით იმიგრაცია უნდა გახდეს ძირითადად ლეგალური. იმიგრანტს უნდა გადაეხდეს გირაოდ თანხა, ცოტა უფრო დიდი იმაზე, რასაც მას არალეგალურად შემომყვანი დალალი ართმევს. მისი გადახდა უნდა მოხდეს წლების მანძილზე, და არა უცბად, და იგი უნდა დაუბრუნდეს მიგრანტს, როცა ქვეყნიდან წავა.

2. უნდა ხდებოდეს მიგრანტთა შორის შერჩევა როგორც დახელოვნების, ისე „კულტურული ფონის“ მიხედვით (უპირატესობა უნდა მიეცეს ქრისტიანებს ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან).

3. იმიგრაცია უნდა ხდებოდეს ორმხრივ ან მრავალმხრივ საფუძველზე მიღწეული შეთანხმებით მიგრანტთა სამშობლო ქვეყნებთან. უნდა შეიქმნას „თამაშის წესების დამდგენი“ რაღაცა ცენტრალური ინსტრუქცია. როგორიცაა, მაგალითად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO). შეთანხმება უნდა ხდებოდეს მიგრაციის ქვოტებზე. იმიგრაციის პირობები, ამ წესების მიხედვით, ერთნაირი უნდა იყოს ყველა ქვეყნისათვის.

4. შეზღუდვები არ უნდა ეხებოდეს, ფაქტობრივად, ერთ სულ მოსახლეზე ერთნაირი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის მიგრაციას და უნდა ძლიერდებოდეს მათ შორის განსხვავების ხარისხის პროპორციულად.

5. მიგრაციას უნდა ჰქონდეს, ძირითადად, დროებითი ხასიათი: მიგრანტი ბოლოს თავის ქვეყანას უნდა უბრუნდებოდეს.

ჟურნალი ფიქრობს, რომ XXI საუკუნე მიგრაციის მუხრუჭების ამშვები საუკუნე იქნება, — ისევე როგორც XX საუკუნე იყო ვაჭრობის მუხრუჭთა ამშვები. „იმიგრაცია ყოველთვის აზარტული თამაშია. მაგრამ როცა იგი სწორად მიდის, მისით ყველა იგებს“.

რედაქციისაგან. მკითხველისთვის მიგვინდია იმის წარმოდგენა, რა მდგომარეობაში იქნება საქართველოს დღევანდელი მოსახლეობა 20 წლის შემდეგ და როგორი იქნება საქართველოს მაშინდელი მოსახლეობა, თუ პროცესები ისე გაგრძელდა, როგორც დღეს მიდის.

იზრაელის „დამცველი კედელი“. რაა იგი?

როგორც ჩანს, ახლო აღმოსავლეთის მთავარი კონფლიქტის მოწესრიგების ამერიკული გეგმა „გზათა რუკა“ მიღებული იქნება პრაქტიკულად. მხარეთა პრინციპული თანხმობა უკვე არსებობს. ამიტომ საინტერესოა, დავაზუსტოთ, რას წარმოადგენს დამცველი კედელი, რომელზედაც იზრაელი ამყარებს თავის იმედს, რომ თავი დაიცვას თვითმკვლელი არაბი ტერორისტებისაგან, რომლებიც თავს იფეთქებენ იზრაელის ხალხმრავალ ადგილებში. ჟ. THE ECONOMIST გვაცნობს მთელ რიგ დეტალებს. ეს კედელი არის მიწის ფართო ზოლი (ზოგან 100 მეტრამდე), რომელიც მოიცავს კედლებს, საპატრულო გზებს, ელექტრონულ „ლობეებს“ და მიწის სანგრებს. მშენებლობა დაწყებულია შარშან. ზოლი ძალიან მიხვეულ-მოხვეულია იმ მიზნით, რომ მოიყოლოს, ებრაული დასახლებები იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, რომელთაც არაბ კამიკაძეთა დარტყმა ემუქრებათ. ერთი, შედარებით სწორი ნაწილი — ის, რომელიც დასავლეთ ნაპირს ყოფს იზრაელისაგან — უკვე აშენებულია. დანარჩენი შენების პროცესშია. ჟურნალი ვარაუდობს, რომ ეს სწორედ ის ხაზია, რომელზედაც, იზრაელის აზრით, უნდა გაიაროს ამ სახელმწიფოსა და პალესტინის წელსვე შესაქმნელი დროებითი სახელმწიფოს საზღვარმა. როგორც ფიქრობს ჟურნალი, ამ ხაზის გავლებას ნაკლები შანსი აქვს, არაბთა თანხმობა მოიპოვოს, რადგან იგი ბევრგან ლახავს არაბული სოფლების ინტერესებს ებრაული სოფლების უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით: ხაზში მოქცეულია, არაბთა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, სოფლებს ეკეტებათ გასასვლელი გზა თავისი სავარგულებისკენ, რის გამოც „ხუთი წუთის სავალს ხუთი საათი უნდა მოანდომონ შემოვლითი გზით“ და ა.შ. მოსახლეობათა როდენობა, რომელსაც ეხება ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მინისათვის, ათიათასობით განიზომება (და არა ათასობით ან მილიონობით). ასე, მაგალითად, 6 ებრაული დასახლება, რომლის დასაცავადაც მშენებარე კედელი შეჭრილია არაბული დასახლების სოლრმეში ერთერთი გამრუდების ადგილას, 18 ათას სულს მოიცავს, არაბული სოფლების მოსახლეობა, რომელთაც გზა გადაეჭრათ თავისი ბაღ-ბოსტნებისაკენ — 20 ათას სულს და ა.შ.

„ცისფერთა“ ბედი ამერიკაში

ორი მოქალაქე, რომელთა თავგადასავალმა შესაძლოა საკანონმდებლო ცვლილება გამოიწვიოს.

ამ კატეგორიის მოქალაქეებს, რომელთაც იქ „მხიარულებს“ უწოდებენ, შეერთებულ შტატებში კარგა ძლიერი პოზიციები აქვთ მოპოვებული მათი „უფლებების“ ცნობის მიმართულებით. ამ დარგში სხვადასხვა შტატთა კანონმდებლობა ერთიმეორისგან განსხვავებულია. ყველაზე მკაცრად და თანმიმდევრულად „ცისა ფრს, ლურჯსა ფერს“ ტეხასის კანონმდებლობა ებრძვის. და არა მხოლოდ კანონმდებლობა. იმ პოზიციას, რომ ტეხასის კანონმდებლობა მიზნად ისახავს დაიცვას „ხანდაზმული მორალური ტრადიცია“ ხიფათი შეუქმნა ოთხიოდე წლის წინ მომხდარმა ინციდენტმა, როცა ერთმა ტეხასელმა მოქალაქემ პოლიციაში დარეკა, ამა და ამ მისამართზე (მის მეზობლობაში) თოფიან კაცს გაგიუების ნიშნები ეტყობაო, პოლიციამ შეამტვრია ბინის კარები და... თავის საჩოთირო საქმიანობაში გართული მისტერ ლოურენსი და მისტერ გარნერი იპოვა. პოლიციამ ორივენი განყოფილებაში მიიყვანა, ერთი ღამე „აყურყუტა“ და ორას-ორასი დოლარით დააჯარიმა. ამჟამად მათი საქმე შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში იხილება და თუ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პოლიცია მტყუანია, ამას, მოსალოდნელია, მოჰყვება ტეხასის და ზოგი სხვა შტატის კანონმდებლობის შეცვლის აუცილებლობა „მხიარულთა“ პრაქტიკის ლეგალიზაციის მიმართულებით. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის აზრი გაყოფილია. ლოურენსის და გარნერის მომხრეები იმოწმებენ კონსტიტუციის პოზიციას „პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის“ თაობაზე. პოლიციელთა მომხრენი — ოჯახისა და მორალის განმტკიცების ინტერესებს და ა.შ.

ეძებენ ბაღდადში გაჭაცებულ სიძველეებს

ბაღდადი სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზეა ძველი ბაბილონიდან და ბუნებრივია, რომ მას უნიკალურად მდიდარი მუზეუმები აქვს. ამასწინანდელ ომში ბაღდადის მაროდიორებმა არ დააყოვნეს ამ მუზეუმებში შეღწევა და აუარებელი უნიკალური მნიშვნელობის საგნის გატაცება. გაზ. THE NEW FEDERALIST-ის ცნობით, მათ ძებნას აძნელებს ის, რომ არ არის შედგენილი და გამრავლებული მათი სია ფოტოებითურთ, რაც გამსვლელთა ბარგის გაჩხრეკას აზრს მისცემდა. ამავე გაზეთის ცნობით, ამ მაროდიორობას თავიებური „ცენტრიც“ ჰყავს, რომელიც 1991 წლის ომიდან მოქმედებს და აუარებელი ნადავლი აქვს მოპოვებული.

გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში

VIVAT HISTORIA

ანუ რას გვიამბობენ მცენარეთა სახელწოდებანი აფსუა-აფხაზთა აბორიგენობაზე საქართველოში

ავილოთ ერთმანეთისაგან ისეთი განსხვავებული ხე-მცენარეები, როგორიცაა: წიფელი, იფანი და ჭადარი. განა საოცარი არაა, რომ ამ განსხვავებულ მერქნიან მცენარეებს აფსუურ ენაში ეწოდება ერთი და იგივე სახელი — „აშვ“, იფანს აქვს მეორე სახელიც „აჩამხა“.

ქართველურში კი ასეთი სურათი გვაქვს: — წიფელი — ქართულად წიფელი; ჭანურად — წიფური, წიფრა; მეგრულად — წიფური; სვანურად კი — წიფ და წიფრა; იფანი — ქართულად და მეგრულად — იფნი, კოპიტი, იფანი; ჭადარი — ჭადარი და ჭანდარი.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ჭადარი საქართველოში უძველეს დროიდან გავრცელებულად ითვლება და ჩვენში იხმარებოდა მისი სპარსული სახელიც — ჩინარი, რაც პოეზიაშიც კია ასახული.

„ქართულ-აფხაზური სასაუბროს (1999 წ.) მიხედვით, დღეს ჭადარს აფსუურში ეწოდება აჭანდარი. როგორ მოხდა, რომ საუკუნეების განმავლობაში აფსუურმა ენამ აქამდე ვერ შეამჩნია ჭადარი და მისი სახელი მხოლოდ მე-20 საუკუნეში ისესხა.

წიფლის, იფნის და ჭადრის ერთი და იგივე სახელით მოხსენიება და ჭადრის სახელწოდების სესხება მე-20 საუკუნეში კიდევ ერთი თვალნათლივი მაგალითია იმისა, რომ აფსუა-აფხაზები საქართველოს აბორიგენები არ არიან და მათ საერთო არაფერი აქვთ ისტორიულ აფხაზებთან და აფხაზეთთან.

კიდევ ერთი თვალნათლივი მაგალითია ამავე რიგისა. ამავე ავტორების მიხედვით, ერთმანეთისაგან მეტად შორს მდგომი სახეობები, როგორიცაა ნაბლი და პანტა მოიხსენიება თითქმის ერთი და იგივე სახელით: ნაბლი — ახე, პანტა — ახა. საერთოდ კი, ნაბლი ეკუთვნის წიფლისებრთა ოჯახს, ხოლო პანტა — ვარდისებრთა ოჯახს; აფსუურმა ენამ კი ვერც განასხვავა და ვერც ქართველური ენებიდან ისესხა.

ქართველურ ენებში კი მრავალფეროვანი სურათი გვაქვს წარმოდგენილი: ნაბლი: ქართულად — ნაბლი; ჭანურად —ჭუბური, ჭუბუ; სვანურად — გვიჯ, გვიჯრა, კუცჩ (ი. მედვედევით); მეგრულად — ჭუბური.

რაც შეეხება პანტას, იგი ქართველურ ენებში უამრავი სახელითაა წარმოდგენილი, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს მოვიყვანთ. ქართულად — პანტა, ჭკუტა, კვიჭიჭი; მეგრულად — პანტე სხული, კვეტელე სხული; სვანურად — გოწო ვიცხ.

ნაბლისა და პანტის არც ერთი ქართველური სახელი არ მიესადაგება აფსუურს, რაც მეტად საყურადღებოა, რადგან ორივე ეს სახეობა კავკასიისა და საქართველოს ფლორის აბორიგენია.

აღსანიშნავია, რომ ამავე ავტორთა მონაცემებით, ნაბლის ქართული სახელი — ნობულის ფორმით შესულია დაღესტნურ ენებში, ხოლო ოსურად ნაბლს ეწოდება გურჯიაგ-ტერს, რაც თავისთავად მეტყველებს მის წარმომავლობაზე.

აფსუების მიგრაციასთან დაკავშირებით ნაბლისა და პანტას სახელწოდებებთან მიმართებაში, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც: მე-16, მე-17 საუკუნეების ევროპელი კარტოგრაფების (გასტალდი, ჯენკინსი, ჰონდოუსი) მონაცემებით ამ პერიოდში აფსუების ტომი მომთაბარეობს ყუბანისპირეთსა და აზოვის ზღვისპირეთში, სადაც შეიძლებოდა გაცნობოდნენ ველურ მსახლს — პანტას, მაგრამ, აფხაზეთში შემოსვლამდე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაეცნობოდნენ ჩვეულებრივ ნაბლს, თუმცა აუხსნელი რჩება რა ნიშნით მიამსგავსეს ისინი ერთმანეთს.

ი. მედვედევისა და ა. როლოვის მონაცეებით აფსუური ენა ასევე ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ბოტანიკურად სხვადასხვა ოჯახში მყოფ სახეობებს, როგორიცაა ჩვეულებრივი თელა და კავკასიური რცხილა. პირველი მიეკუთვნება თელისებრთა, მეორე კი — თხილისებრთა ოჯახს. აფსუური ენა კი ამ განსხვავებულ სახეობებს უწოდებს ერთსა და იგივე სახელს — ახეც; მაშინ, როდესაც ქართველურ ენებში ამ სახეობების აღსანიშნავად იმდენი სახელწოდება გვაქვს, რომ მათი მოყვანა უკვე ზედმეტად მიგვაჩნია; ამასთან ერთად, ქართველური ენები მკვეთრად ანსხვავებენ თელასა და რცხილას.

ი. მედვედევისა და ა. როლოვის ზემოაღნიშნული შრომები კიდევ მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს, რომელიც შემდგომ განხილვას და ანალიზს საჭიროებს.

ზემოთმოყვანილი მიმოხილვიდან შეიძლება ასეთი დასკვნები გავაკეთოთ:

1. რუსი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის იაკობ მედვედევის (1847-1923) ნაშრომი „კავკასიის ხეები და ბუჩქები“ (1883; 1910; 1919) და თბილისში დაბადებულ-გაზრდილი და აქვე მოღვაწე გერმანელი მეცნიერის ადოლფ ქრისტიან როლოვის (1870-1952) მონოგრაფია „კავკასიის ველური მცენარეები“ (1908) შეიცავს ფასდაუდებელ ენობრივ მასალას ველურ მცენარეთა სახელწოდებების შესახებ კავკასიის ხალხთა ენებზე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მიხედვით, რაც განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანია, მაშინ კიდევ უდამწერლობო კავკასიის მცირე ხალხების, მათ შორის აფსუა-აფხაზთა, ენების ლექსიკური ფონდის შესასწავლად.

2. აღნიშნულ მონოგრაფიებში მოიპოვება ფრიად საინტერესო ლექსიკური მასალა ველურ მცენარეთა სახელწოდებებისა აფსუა-აფხაზთა ენაზე, რაც კი არსებობდა მე-19 საუკუნის ბოლოსათვის და რომელიც მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ამ ტომის მიგრაციის თვალსაზრისით კავკასიაში.

3. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული მასალა აქამდე ქართველ ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა ყურადღების მიღმაა დარჩენილი და განხილვა-ანალიზის საგანი არ გამხდარა. არადა, ასეთი ანალიზი ბევრ რამეს ახდიდა ფარდას და სიცხადეს შეიტანდა აფსუა-აფხაზთა მიგრაციისა და აბორიგენობის საკითხში.

4. ი. მედვედევისა და ა. როლოვის მონაცემებით, მე-19 საუკუნის ბოლოს აფსუური ენა ვერ ანსხვავებს წინვიან ხე-მცენარეებს ნაძვს, ფიჭვს და სოჭს და მათ აღნიშნავს ერთი საერთო სახელით — „აფსა“, რომელიც ნასესხები უნდა იყოს ყაბარდოულ-ჩერქეზული ენებიდან; ამ ენებზე წინვიანებს ეწოდა „ფსეი“.

აფსუა-აფხაზებს რომ ხანგრძლივად ეცხოვრათ ან ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ან დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთი), წარმოუდგენელია, რომ ეს ბოტანიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობანი მათ ტერმინოლოგიურად ვერ განესხვავებინათ, ან კიდევ მეზობელი ქართველური ტომებისაგან არ შეეთვისებინათ რომელიმეს სახელწოდება.

დღეს, გარდა წინვიანებისა, აფსა ჰქვია აგრეთვე ხეობას, ხოლო აფსარა — წინვიან ტყეს.

5. ამავე ავტორთა მონაცემებით, ამავე პერიოდში, აფსუურ ენაში მუხა და ვაზი აღინიშნება ერთი და იგივე სახელით — „აჯ“, რაც თავისთავად პარადოქსულ მოვლენას უნდა მიეკუთვნოს, რადგან მუხა და ვაზი ყველანაირად შორს დგანან ერთმანეთისაგან. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს მოვლენა კატეგორიულად გამორიცხავს აფსუების აბორიგენობას დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთში.

დღეს აფსუურში ვაზის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი — „აძახუა“, რომელსაც საერთოდ არ იცნობენ ი. მედვედევი და ა. როლოვი, რომელიც ნასესხები უნდა იყოს მე-20 ს-ის 20-იანი წლების შემდგომ ქართულიდან. იგი შეესაბამება ქართულ ძახველას.

6. მე-19 საუკუნის ბოლოს, აფსუურ ენაში, ერთი და იგივე სიტყვით — აშვ, აღინიშნება ასევე ერთი მეორისაგან ყველანაირად შორს მდგომი და განსხვავებული ისეთი ხე-მცენარეები, როგორიცაა: წიფელი, იფანი და ჭადარი, რომელთაც ასევე მშვენივრად ანსხვავებენ ქართული ენები.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის იმ რეგიონში, სადაც ხდებოდა აფსუების მიგრაცია საქართველოში, არც ბუნებრივად და არც ხელოვნურად, ჭადარი არ იყო გავრცელებული, რაც მშვენივრადაა ასახული აფსუურში.

დღევანდელ აფსუურში ჭადარს ეძახიან აჭანდარს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ნასესხებია ქართულიდან მე-20 საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ, რადგან ი. მედვედევის შრომის ბოლო გამოცემა განხორციელდა 1919 წელს.

საოცარია, მაგრამ დღევანდელ აფსუურში იგივე სახელწოდებით — აშვ, აღინიშნება ყველიც(!).

7. აფსუური ენა ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს და თითქმის ერთნაირად მოიხსენიებს ასევე განსხვავებულ მერქნიანებს — წაბლს და პანტას — წაბლი — ახე, პანტა — ახა. აღსანიშნავია, რომ წაბლი არაა გავრცელებული იმ რეგიონებში, საიდანაც ხდებოდა აფსუების მიგრაცია.

წაბლისა და პანტის აღსანიშნავად ქართველურ ენებს მრავალფეროვანი განსხვავებული სახელები მოეპოვება და აფსუები რომ აფხაზეთის აბორიგენები ყოფილიყვნენ, რომელიმეს მაინც ისესხებდნენ.

8. ი. მედვედევისა და ა. როლოვის მონაცემებით, აფსუური ენა ასევე ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ბოტანიკურად სხვადასხვა ოჯახში მყოფ ისეთ სახეობებს, როგორიცაა ჩვეულებრივი თელა და კავკასიური რცხილა და აღნიშნავს ერთი და იგივე სახელით — ახეც.

9. აფსუურ ენაში წინვიანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეების (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, წიფელი, იფანი, ჭადარი, წაბლი, პანტა, თელა, რცხილა) და ვაზის სახელწოდებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ აფსუების ტომი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ეს მცენარეები არ იყვნენ გავრცელებული; ამიტომაა, რომ აფსუური ენა შინაარსობრივად ვერ ანსხვავებს აღნიშნულ სახეობებს.

ყოველივე ეს სრულიად შეესაბამება და ადასტურებს ცნობილი რომაელი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პლინიუს უფროსის ცნობას იმის შესახებ, რომ აფსუები ახ. წ. I საუკუნეში ცხოვრობდნენ კასპისპირეთში, ვოლგის შესართავის მახლობლად — დღევანდელი ყალმუხეთის ტერიტორიაზე, რომელიც ნახევრად უდაბნოს წარმოადგენს და სადაც არც ერთი ზემოთ აღნიშნული სახეობების მცენარე არაა გავრცელებული.

10. სხვა უამრავ ფაქტებთან ერთად, ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ აფსუების აბორიგენობა საქართველოში (აფხაზეთი) კატეგორიულად გამორიცხულია, სრული სიცრუეა, აბსურდია და ისტორიულ სიმართლეს არ შეესაბამება; არამედ აფსუების ინფილტრაცია ხდება ჩრდილოეთ კავკასიიდან მე-16-მე-17 საუკუნეებში, რასაც ადასტურებენ ამ პერიოდში ევროპელთა მიერ შედგენილი რუკებიც, რომელთა თანახმადაც აფსუები ჯერ კიდევ მომთაბარეობენ აზოვის ზღვისპირეთსა და ყუბანისპირეთში.

ბიძინა თავაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა დაიწყო

საქართველოს ზეიმი

დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებაში, თუმცა ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტა აქამდე, ბევრის აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ახლა უკვე წარსულ დროში საუბრობენ იმ ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რაც ამ პროექტის განხორციელებას ახლდა თან, და დღევანდელ მოვლენებს ახდენილ ოცნებებს უწოდებენ.

საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების აღსანიშნავად 23 მაისს თეთრიწყაროს რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, რითაც სახალხოდ დადასტურდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი განხორციელების გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. თეთრიწყაროს საზეიმო ცერემონია არანაკლებ შთამბეჭდავი იყო, ვიდრე 18 სექტემბერს აზერბაიჯანის სანგაჩალის ტერმინალში საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიება, მაგრამ ერთი განსხვავებით: ამჯერად კითხვის ნიშანი პრაქტიკულად აღარ არსებობდა.

ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის თავმჯდომარე ნატიგ ალიევი, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია, „ბი-პი აზერბაიჯანის" პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი მაიქლ თაუნშენდი, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

ზეიმი ჩატარდა მშვენიერი ბუნების წიაღში და, შესაძლოა, ამ გარემოებასაც თავისი წილი ედო საზეიმო და იმედიანი განწყობილების შექმნაში. დამსწრე იყო რამდენიმე ათასი კაცი. ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების კოლონას ბოლო არ უჩანდა. იყვნენ ოფიციალური პირები, ჟურნალისტები, კომპანიის თანამშრომლები, სიხარულის მოზიარეები ყველა პროფესიისა და ყველა ასაკისა. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მან სიტყვა წარმოთქვა და დალოცა წამოწყებული საშვილიშვილო საქმეც და დამსწრენიც. ამინდიც ზეიმის შესაფერისი იყო: ზომიერად გრილი და უწვიმო.

ოფიციალურმა პირებმა სიმბოლურად ჩაყარეს მიწა თხრილში, რომელშიც პირველი მილი იყო ჩადებული.

დამსწრეთა ყურადღება მი[illegible] ახლად-ახალმა სრულყოფილმა სამშენებლო ტექნიკამ, რომელიც უკვე მუშაობს ნავთობსადენის ტრასის მომზადებაზეც და მშენებლობისათვის დროებითი საცხოვრებელი დაბების მომზადებაზეც.

ძალიან შთამბეჭდავი იყო მუსიკალური თანხლება, რომელიც მილის ტრანშეაში ჩადებას ახლდა.

[illegible]წყაროში, საქაჩი სადგური-2-ის (PSG-2) მახლობლად, მილსადენის განსხვისების დერეფანში მიწაში განთავსდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პირველი მილი და „დროის კაფსულა", რომელიც მომავალი თაობებისათვის დაწერილ სამახსოვროს შეიცავს. ასეთი „კაფსულები" სხვაც არსებობს, მათ შორის — კოსმოსში გაგზავნილიც. ახალი მილსადენი კაცობრიობის ღირსშესანიშნაობათა რიგში დგება.

საზეიმო ცერემონიალით საქართველოში ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება ოფიციალურად სწორედ ამ დღეს აღინიშნა, თუმცა მშენებლობა ახლახანს უკვე დაიწყო წალკის რაიონში, 128-ე კილომეტრ-ნიშნულთან.

— ამ ცერემონიალით აღვნიშნავთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის იმ უმნიშვნელოვანესი ეტაპის დადგომას, რომელიც საქართველოს მიერ პროექტის რეალიზაციის მიმართულებით გადადგმულ უდიდეს ნაბიჯებს ცხადყოფს. გვსურს, განსაკუთრებით აღვნიშნოთ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის და უშუალოდ საქართველოს მოსახლეობის უზომო ძალისხმევა. სწორედ მათი დაუღალავი შრომისა და თავდადების წყალობით შევძელით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დღემდე მოყვანა ვადების დაცვით" — განაცხადა „ბი-პი აზერბაიჯანის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა.

მშენებლობის დასრულების შემდგომ მილსადენის საშუალებით აზერბაიჯანის კასპიის ზღვის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტი განხორციელდება. ნავთობსადენის მარშრუტის სიგრძე 1760 კმ-ს შეადგენს (248 კმ საქართველოში, 442 კმ-ს აზერბაიჯანში და 1070 კმ თურქეთში) და იგი სათავეს აიღებს ბაქოსთან ახლომდებარე სანგაჩალის სახმელეთო ტერმინალიდან, შემდეგ გაივლის საქართველოს და საბოლოო პუნქტს მიაღწევს თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ახალ საექსპორტო ტერმინალზე, ჯეიჰანზე, საიდანაც ნავთობს გემები საერთაშორისო ბაზრებზე გაიტანენ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეშვეობით დღეში ერთი მილიონი ბარელი, ანუ წელიწადში 50 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება განხორციელდება და მისი მშენებლობა 2005 წელს დასრულდება, რაც აზერი-ჩირაგ-გუნაშლის (ACG) გიგანტურ ნავთობსაბადოს 1-ლი ფაზის ათვისებას დაემთხვევა. დღეისათვის ACG-დან დღეში დაახლოებით 140,000 ბარელი ნავთობის მოპოვება წარმოებს, ეს მოცულობა ეტაპობრივად გაიზრდება და 2008 წლისათვის დღიურ პიკს, 1 მლნ ბარელს მიაღწევს.

აზერბაიჯანში და თურქეთის უმეტეს ნაწილში, მილსადენის დიამეტრი 100,8 სმ-ს შეადგენს, ხოლო საქართველოს მონაკვეთზე და თურქეთის ტრასის დასაწყისში იგი 110,4 სმ-მდე გაიზრდება.

ნავთობსადენი საქართველოს 7 რაიონს კვეთს. ესენია: გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, წალკა, ბორჯომი, ახალციხე და ადიგენი. მილსადენის მშენებელი კონტრაქტორი, „სპი კაპაგ პეტროფაკი" უკვე შეუდგა სამშენებლო სამუშაოებს რუსთავში, მარნეულში, თეთრიწყაროში, წალკაში და ახალციხეში მდებარე საქაჩ სადგურებზე, მილსაწყობებსა და სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე.

მილსადენის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2 წელს გასტანს და ყველაზე დატვირთულ პერიოდებში 2000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე დასაქმდება. დღევანდელი დაუსაქმებლობის პირობებში ეს საქართველოსთვის ძალიან მაღალი რიცხვი გახლავთ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი აზიასა და ევროპას შორის ენერგოდერეფნის განვითარებას დაუდებს სათავეს. იგი რეგიონის გარეთ კასპიის ზღვის ნედლი ნავთობის უსაფრთხო, შედარებით ეკონომიურ და ეკოლოგიურად ნაკლებად სარისკო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

მთავარი აქცენტებიც, რომელიც მილსადენის პროექტთან დაკავშირებით ამ საზეიმო ცერემონიალზე გაკეთდა, სწორედ ეკოლოგიურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებას უკავშირდებოდა. უცხოელი პარტნიორები ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ ეკოლოგიური კატასტროფა გამორიცხულია. გამოყენებულია დაცვის უპრეცენდენტო ზომები.

— ამ პროექტის მნიშვნელობაზე ბევრს საუბრობდნენ. მე მიმაჩნია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი მომგებიანი იქნება საქართველოსთვის, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველო 600 მლნ დოლარ შემოსავალს მიიღებს. გაიზრდება ინვესტიციებიც. დასაქმდება მოსახლეობა. რაც შეეხება განცხადებებს, რომ ეს არ არის გრანდიოზული პროექტი, რომ იგი მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობისაა და საბოლოო ჯამში „არ გაამართლებს", ეს მხოლოდ იმისთვის კეთდებოდა, რომ ამ პროექტის განხორციელებას ხელი შეშლოდა, — განაცხადა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის თავმჯდომარემ ბატონმა ნატიგ ალიევმა.

— დღეს მშენებლობაზე უკვე 900 კაცია დასაქმებული. 6 რაიონში ერთობლივად იდება ნავთობისა და გაზის მილები. ამ პროექტის მასშტაბი იმდენად დიდია, რომ ბევრს უჭირს

ამის გაცნობიერება. ეს ნავთობსადენი საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის პერსპექტივაა. მე ყველა ოპონენტს მინდა ვურჩიო, რეალურად შეაფასოს არა მხოლოდ ის, თუ რა ციფრებზე და ინვესტიციებზეა საუბარი საქართველოში, არამედ რეალურად შეხედოს იმ გეოპოლიტიკურ დინამიკას, რომელიც დღეს მსოფლიოში ვითარდება, შეხედოს იმ ფაქტორებს, იმ ურთიერთობებს, რომელსაც ეს პროექტი აყალიბებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეაფასოს ამ პროექტის მნიშვნელობა. მაშინ სასაცილო იქნება არგუმენტი, თითქოს ეს ნავთობსადენი არაფერს ნიშნავს ქვეყნისათვის. ეს პირველ რიგში ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიაა. საქართველო არ იქნება ქვეყანა, რომელსაც [illegible], დასჯიან, დაბომბავენ, გადაუკეტავენ გაზს, გაყინავენ, ჩაუქრობენ შუქს და ა. შ. ამაზე ჩვენი წინა თაობები ოცნებობდნენ — ასე აფასებს ნავთობსადენის მნიშვნელობას საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ბატონი გია ჭანტურია.

სამივე ქვეყანაში — აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში — ნავთობსადენი მართლაც ხანგრძლივ მატერიალურ სარგებელს გვპირდება, რაც ვლინდება კაპიტალდაბანდებებში, დასაქმების შესაძლებლობების ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, მთავრობისთვის ახალი მძლავრი შემოსავლის წყაროს ფორმირებაში, ადგილობრივი სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდასა და ფართომასშტაბიან საზოგადოებრივ პროგრამებში, რომლებიც მილსადენის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისათვის მდგრადი სარგებლის შექმნისკენ არის მიმართული.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი მისი თავდაპირველი ბიუჯეტის — კერძოდ კი 2,95 მლრდ აშშ დოლარის ფარგლებში გრძელდება და გრაფიკის დაცვით ხორციელდება, რაც საშუალებას იძლევა, დაიწყოს ნავთობის პირველი პარტიის ტრანსპორტირება აზერი-ჩირაგ-გუნაშლის საბადოდან 2005 წლის დასაწყისში.

* * *

ძალიან სასიხარულოა, რომ თავის ვრცელ გამოსვლაში ბატონი გ. ჭანტურია არ შემოიფარგლა არც ტექნიკური თემით და არც ეკონომიკური თემით. მან აქცენტი გაუკეთა მშენებლობის ზოგად-პოლიტიკურ მხარეს, უფრო მეტიც — მან მშენებლობის მნიშვნელობა შეაფასა იმ უზარმაზარი როლის მიხედვით, რომელიც მას კავკასიისა და მისი ქვეყნების — პირველ ყოვლისა, საქართველოს — წარსულსა და მომავალ ისტორიაში ეკუთვნის. „საქართველოს" რედაქციას სურს, თავისი მკითხველების საყურადღებოდ ამ თემასთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილოს ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის და ცენტრალური აზიის მომცველი მომავალი პროექტები, რომლებშიც საქართველო იქნება ჩართული, მართლაც ჩვენი ისტორიის ახალი ფურცელია. დასავლური დემოკრატიის წინსვლა ცენტრალური აზიისაკენ სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოსთვის. თუ ევრაზიის ამ ცენტრალურ სტრატეგიულ ზონაში სხვა, არადემოკრატიული და ანტიდასავლური ძალები მოიპოვებენ გაბატონებულ პოზიციას, იქ ძალის ისეთი „წნევა" შეიქმნება, რომელიც რამდენიმე ათეულ წელიწადში ამიერკავკასიას და საქართველოს წალეკავს. ამიტომ საქართველო „ბაქო-ჯეიჰანის" ნავთობსადენზე მუშაობით არც მხოლოდ თავის ბიუჯეტს ემსახურება, არც მხოლოდ თავის დასავლელ მეგობრებს. იგი ემსახურება თავის მომავალს, თავის შთამომავლობას და მათს სიცოცხლეს. ვინც ამ პროექტის განხორციელებაზე მუშაობს, ის საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ბრძოლის წინა ხაზზე დგას.

გვერდი მოამზადა
მანანა ლოგუაშიძემ

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

მე-2 გვერდიდან

ეორო. ნებისმიერმა პარტიამ, ნებისმიერმა ფრაქციამ წარმოადგინოს პროგრამა, რომელიც ჩემთვის მისაღები იქნება და მე, როგორც ერთი კაცი, როგორც ყოველი თქვენთაგანი, ალბათ გავიღებ ყველაფერ იმას, რისი გაღებაც შეუძლია ერთ პიროვნებას. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ბატონი ირაკლი წერეთელი, შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბი.

ი. წერეთელი. ახლა აქ ბევრი ითქვა რატომ უნდა შევიდეთ „სნგ"-ში და ისიც ითქვა, რატომ არ უნდა შევიდეთ „სნგ"-ში. რატომ არ უნდა შევიდეთ, მე თავს აღარ შეგაწყენთ, მოკლედ გავიმეორებ... (ხმა დარბაზიდან). არც სამართლებრივი, არც პოლიტიკური, არც პრაგმატული და არც ზნეობრივი მოტივებით ეს გამართლებული არ არის. ერთ რამეზე მოვილაპარაკოთ. მე არ ვიცი ეს საკითხი მივა თუ არა კენჭისყრამდე, თუ მივა, რა თქმა უნდა, ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას ამ კენჭისყრში, ან, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგოს მივცემთ, მაგრამ ერთ რაღაცაზე მოვილაპარაკოთ: აქ 4 კატეგორიის ხალხია ვისაც უნდა „სნგ"-ში შესვლა. ერთი კატეგორია ხალხისა, — პარლამენტს არ ეხება, ეხება მთლიანად საქართველოს — წმინდა პრაგმატული, კარიერისტული მოსაზრების გამო შექმნილი მდგომარეობის დათმობა არ უნდათ და „სნგ"-ში კი არა კომის ავტონომიურ რესპუბლიკის შემადგენლობაში შევლენ, თუ ეს მათ რაღაცას მისცემს. არის მეორე კატეგორიის ხალხი — აგენტურა, როგორც პარლამენტში, ისე პარლამენტის გარეთ, რომლებიც დავალებებს ასრულებენ. არის მესამე კატეგორია ხალხის, რომლებსაც გულწრფელად ეშინიათ რუსეთის გაანაწყენების. ეს „სნგ"-ს მომხრეთა შორის შედარებით პატიოსანი ხალხია და მეოთხე კატეგორიის ხალხი, რომელიც ჩამოყალიბდა 21 წლამდე და შემდეგ ბოლო 70 წლის მანძილზე, რომ რუსეთის სივრცის გარეშე მათ ვერ წარმოუდგენიათ არსებობა იმიტომ, რომ მათი ინტელექტუალური შესაძლებულობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არ იძლევა უფრო დიდ სივრცეზე გასვლის საშუალებას (ხმა დარბაზიდან: რატომ არ იძლევა). რატომ არ იძლევა ეს... არ იძლევა, ეს ბატონმა სახელმწიფოს მეთაურმაც თქვა, რომ მწერლობასაც სხვა სივრცე არ გააჩნიაო და აი, აქედან გამომდინარე გავაკეთე მე ეს. არ იძლევა იმიტომ, რომ სხვაგან არსად არ... (არ ისმის, სიცილი დარბაზში).

ახლა მთავარი საკითხი. ჩვენ მოვილაპარაკოთ. მე არ ვიცი ახლა აქ ყველა პარლამენტის წევრი იტყვის, რომ ჩვენ ის პატიოსანი ხალხი ვართ, ვისაც გვეშინია, რომ კიდევ უფრო გამწვავდება მდგომარეობა და საერთოდ დაიკარგება ქართული სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის პერსპექტივები და როგორც ბატონმა გივი ლომინაძემ აღნიშნა და სხვებმაც აღნიშნეს, აი სწორედ სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ა.შ. და ა.შ. აი ამ კარგი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის გვინდა „სნგ". მაშინ მოვილაპარაკოთ, ღმერთმა ნუ ქნას და თუ მაინც მოხდება ეს რატიფიკაცია, რამდენი დრო მოგცეთ კიდევ, რომ... იმიტომ, რომ მე მქონდა ლაპარაკი რამდენიმე დეპუტატთან „სნგ"-ს მომხრეებთან, მგონი ბატონი... რა ჰქვია თერჯოლის დეპუტატს? ამირანი, იმან თქვა, რომ თუ „სნგ"-ში საქართველოს მიღებით ჩვენი დამოუკიდებლობა დამოკიდებულების საკითხთან, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და გაღრმავების საკითხთან გამართლდება, მაშინ მთელი საქართველო, მთელი პარლამენტი



„სნგ"-ს მომხრეც და მისი მოწინააღმდეგეც მოგებული რჩება. მაგრამ თუ არ გამართლდება, მაშინ მთელი საქართველო რჩება წაგებული, მაგრამ „სნგ"-ს მომხრეები შერე მაინც წახვალთ თუ არ წახვალთ ასპარეზიდან? აი ამაზე მოვილაპარაკოთ.

თავმჯდომარე. კი ბატონო.

ი. წერეთელი. ეი. მე ყველა ვარიანტში წინააღმდეგი ვარ (ხმა დარბაზიდან). როგორ? (კამათი დარბაზში). რაც შეეხება ალტერნატივას ვერ ვხედავთო, აქ ითქვა და პროგრამები არ არისო. არის პროგრამები, ალტერნატივაც არის. მე საერთოდ მიმაჩნია, რომ ამ ხელისუფლების ქვეშ საქართველო „სნგ"-ში იქნება თუ „სნგ"-ს გარეთ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. უნდა შეიცვალოს ძირეულად ალმასრულებელი ხელისუფლება, უნდა შეიცვალოს ძირეულად სახელმწიფო პოლიტიკა და ეს არის თავისთავად ალტერნატივა. საკითხის ისეთი დაყენება, რომ „სნგ"-ს გარეშე ქართველი ერი ფიზიკურად არსებობას შეწყვეტს, ეს, მაპატიეთ და ერის შეურაცხყოფაა. მაშინ თუ ჩვენ არ შეგვიძლია სხვა ერის ქვეშევრდომობის გარეშე ჩვენი თავის შენარჩუნება, მაშინ რად გვინდა საერთოდ სახელმწიფოებრიობა და არაფრის ღირსნი არ ვყოფილვართ. აი ეს არის ისეთი პოლიტიკა, რომელიც ინერგება მთელი 70 წლის მანძილზე, რომ ქართველ ერს არ შეუძლია... მე მესმის რომ მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ ამაზე მძიმე რაღა უნდა იყოს. კიდევ ოპოზიციას ბრალდება აფხაზეთის დაკარგვა. ბატონ შევარდნაძეს რომ დაეგდო ჩვენთვის ყური და ის ეკეთებინა, ვთქვათ, რასაც მე ვეუბნებოდი (სიცილი დარბაზში), თედო პაატაშვილი და ა.შ., მაშინ, კი ბატონო, მე ვიტყოდი, რომ ჩემი ბრალია აფხაზეთის დაკარგვა-თქო, მაგრამ საწინააღმდეგოს რომ აკეთებდა და მაინც დაიკარგა, ვისი ბრალია, რა თქმა უნდა, თქვენი ბრალია. აი ეს არის. მეტი არაფერი.

თავმჯდომარე. კარგით. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი. შემდეგ ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი.

ჭ. ამირეჯიბი. ქალბატონებო და ბატონებო, შევეცდები ძალიან მოკლედ გამოვთქვა ჩემი აზრი ამ პრობლემის გარშემო. უპირველეს ყოვლისა მინდა გამოვთქვა კმაყოფილება დღევანდელი პარლამენტის სხდომის მსვლელობის გამო. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. როგორც იტყვიან გამოჩნდა ცისფერი და შავი, თეთრი და შავი (ხმაური დარბაზში). საქართველოს წინაშე ყოველთვის იდგა პრობლემა და დღესაც დგას. ვისთან, ვისი მფარველობის ქვეშ იყოს საქართველო. ასე იყო მთელი ისტორიის მანძილზე და დამსწრე საზოგადოებას პატიებას ვთხოვ, რომ ეს მას შევახსენე. მე აქ ერთხელ გამოვედი და ვთქვი, რომ რუსეთისაგან ღალატის მეტი ჩვენ არაფერი არ გვინახავს. დავიწყე 1773 წლიდან, მოვედი 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევამდე. **თავმჯდომარე.** გმადლობთ. ჯერ ქალბატონ მანანას მივცეთ სიტყვა და ვნახოთ.

(ხმაური დარბაზში). ვნახოთ, მადროვეთ ჯერ. ბევრია სიაში. დაწყნარდით, მოუსმინეთ. (ხმა დარბაზიდან. შემდეგი ვინ არის?). ნახავთ შემდეგს. წინადადება არის შემოსული რომ შეწყდეს კამათი, ვნახავთ. (ხმაური დარბაზში). თუ არა და მერე გავაგრძელოთ.

მ. გიგინეიშვილი. აქ ითქვა, რომ თურმე „დათა თუთაშიას" იდეები და „შერეკილების" იდეები ცხოვრებაში უნდა გავატაროთ. ეს ძალიან პოპულისტურია დღეს და ბევრი მოიხრეც შეიძლება გყავდეთ. მაგრამ მე როდესაც ვეცდები ჩემს მსმენელებს ვუთხრა, რომ მე ვარ ერთ-ერთი მოიხრე საქართველოს „სნგ"-ში გაერთიანებისა, არა მაქვს იმისი შიში, რომ ამ იდეების ღალატს ჩავდივარ. არა მაქვს ეს შიში იმისათვის, რომ თანამეგობრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს და არა აქვს ზეეროვნული უფლებამოსილება. თანამეგობრობა უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიალურ ურღვევობას და მის ტერიტორიულ მთლიანობას. არც ერთი აქ წარმოდგენილი თვალსაზრისი არ იყო იმის გამაქარწყლებელი, რაც ჩემთვის, პირადად და ალბათ მოსახლეობის ფართო ფენისათვის დასაჯერებელს და მისაღებს ხდის ჩვენს აქ გაერთიანებას. ნუ გვავიწყდება ერთი რამ, რომ რამდენი ნაღმი აქვს ჩადებული რუსეთს და რამდენი ნაღმი ამუშავდა და რამდენი ნაღმის ამუშავება შეაფერხა თანამეგობრობაში შესვლამ. გაიხსენეთ ის მომენტი, მსვლელობა გაიხსენეთ და რა შეფერხდა ამით. მაგრამ ეს რა თქმა უნდა არ ყოფილა მთავარი და ეს არ ყოფილა დროებითი, რომ ორ პროვინციაზე იყო ახლა ლაპარაკი. აი სწორედ ის ფაქტიც, რომ ორი დივიზიის შეყვანა არ მოხდა, მეტყველებს იმაზე, რომ უკანასკნელ მომენტამდე თანამეგობრობაში შესვლა ჩვენს ხელისუფლებას გადაწყვეტილი არ ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკა იმის პოლიტიკაა, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩვენ აქამდე მივედით.

ახლა რაც შეეხება ამას ყველაფერს, რაც აქ დღეს ტრიალებს. ბატონი ნოდარ ნათაძე, აქ თუ არის, ძალიან მინდა რომ მომისმინოს. აქ არის ბატონი ნოდარ ნათაძე? ძალიან კარგი იქნება, თუ შემოვა. ბატონი ნოდარ ნათაძე, რომელიც ფილოსოფიის ცოდნას უწუნებს სხვას და თვითონ, როგორც ჩანს, ბრწყინვალე მცოდნე არის ფილოსოფიისა, რას ფიქრობდა ბატონი ნოდარ ნათაძე რადიკალიზმის შესახებ, როდესაც მან სახალხო ფრონტის ყრილობიდან გააძევა მამარდაშვილი და მამარდაშვილთან ერთად გააძევა მთელი ქართული ინტელიგენცია? (ყვირილი დარბაზში). მე რატომ ვიხსენებ ახლა ამ ამბავს.

თავმჯდომარე. დაწყნარდით, დაწყნარდით, ვინც ყვირის, მართალი არ არის და ის ყვირის.

მ. გიგინეიშვილი. ამ ამბავს მე ვიხსენებ იმიტომ, რომ თვალსაზრისი ყველა იმათი, ვინც „სნგ"-ს მომხრეა... (ხმაური დარბაზში). ამას მე ვიხსენებ იმიტომ, რომ იმათი თვალსაზრისი ვინც... (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. ნუ ყვირიხართ.

მ.გიგინეიშვილი. გთხოვთ დამიცვათ, ბატონო ვახტანგ.

თავმჯდომარე. ბატონებო, დეპუტატი, რომელიც.. (ყვირილი დარბაზში).

მ.გიგინეიშვილი. მე დღეს ამ ამბავს ვიხსენებ იმიტომ, რომ პოზიცია იმათი, ვინც „სნგ"-ს მომხრეა, ღალატად ცხადდება. ღალატი, აი მე მინდა იცოდეთ, რომ ასე იოლად ნუ გვაწერთ ამ იარლიყებს. სხვათა შორის, ჩვენ ბევრჯერ გვქონდა მიზეზი თქვენგან, ბევრჯერ მოგვეცით იმის მიზეზი, რომ რაღაც იარლიყები მოგვეწებებია ჩვენც, მაგრამ ჩვენ ეს არ გვიქნია. არ გვიქნია ეს არც 9 აპრილს, რომელიც სულ ტრიალებს ოპოზიციის მიერ, არ მოგვითხოვია პასუხი არც იმ სისხლისთვის, არც იმისთვის, რომ ნაკაწრიც არ გქონიათ და დღეს ულტიმატუმებს გვიყენებთ და დროს გვინიშნავთ... (ხმაური დარბაზში). არ მოუთხოვია თქვენთვის პასუხი საზოგადოებას. (ცხარე კამათი დარბაზში).

თავმჯდომარე. დაწყნარდით.

მ.გიგინეიშვილი. იყვირეთ, იყვირეთ, მე არ მეშინია თქვენი ყვირილის. მე მოველოდი თქვენს ყვირილს.

დარბაზიდან. როგორ არ გრცხვენიათ მაგას რომ უსმენთ, როგორ არ გრცხვენიათ. (ხმაური დარბაზში).

მ.გიგინეიშვილი. დღევანდელ ჩვენს პარლამენტში საკმაოდ არიან გამსახურდიას პარლამენტის წევრები. სად ბრძანდებოდით, ბატონებო, როდესაც ოსეთის რესპუბლიკა, ოსეთის ოლქი გააუქმეთ? დაფიქრდით, რა მოყვებოდა ამას? იფიქრეთ, რამე პასუხისმგებლობა იგრძენით ოსეთის გაუქმების გამო, თუ იგრძენით? (ხმაური დარბაზში). სად იყავით, როდესაც 28-26 მივიღეთ. ვინმემ მოგთხოვათ ამის გამო პასუხი? არავინ. (საშინელი ყვირილი დარბაზში). როგორ მოხდა, რომ ეროვნული მოძრაობის მოთავეებმა ძალიან დიდ კაპიტალს წამოკრეს ხელი? გაირკვეს ჯერ, ბატონებო, ვინ არის მოღალატე, რატომ აწრიალდით, როდესაც დაიხურა, დაილუქა ბანკი, დაილუქა თავდაცვის სამინისტროს... (საშინელი ყვირილი დარბაზში). რატომ აწრიალდით? ვინ ჩადიოდა, რას ნიშნავდა თქვენი... (მომხსენებელიც ყვირის, ხმაური დარბაზში). რას ნიშნავდა ქობალიასთან თქვენი მოლაპარაკებები?

ხმა დარბაზიდან. მანანა, შვილი გყავს მკვდარი, სირცხვილია, მანანა. (საშინელი ყვირილი დარბაზში).

მ. გიგინეიშვილი. ვის აძლევს ხელს...

თავმჯდომარე. აი ეს ხალხი უნდა მართავდეს ქვეყანას?

მ.გიგინეიშვილი. ვის არ უნდა საგანგებო წესები, ამაზეც დაფიქრდით. ვის აძლევს ხელს დესტაბილიზაცია, გაჭირვებული, უსახსრო ადამიანების ქუჩაში გამოყვანა, ვაკანტურია სხვათა შორის ბელადის ადგილი. გაიგონეთ კარგად, ვაკანტურია ბელადის ადგილი. (ხმაური დარბაზში). თქვენ ახლა გაერთიანდით, მაგრამ თქვენ გაერთიანება არ იქნება. ეს არის დესტრუქციული ძალების გაერთიანება. თქვენ პირველობას ერთმანეთს ვერ დაუთმობთ.

თავმჯდომარე. კარგით. (ხმაური დარბაზში, ტაში). მე მგონი, არის საფუძველი, წინადადება,

გაგრძელება მე-8 გვ.

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

მე-7 გვერდიდან

რომ შეწყდეს კამათი. (ხმაური დარბაში). წივილი და კივილი პარლამენტის საქმე არ არის. ბატონებო, ვინ არის მომხრე, რომ შეწყდეს კამათი? თუ არ იქნება მომხრე პარლამენტი, გავაგრძელებთ კამათს.

ბატონებო, 10-წუთიან შესვენებას ვაცხადებთ. შემდეგ ვუყრით კენჭს. (ხმაური დარბაზში).

შესვენების შემდეგ.

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ.გოგუაძე.

თავმჯდომარე. ჩავატაროთ რეგისტრაცია, პრაქტიკულად და ვიმუშაოთ ერთად, ერთად უნდა ვიმუშაოთ, კიდევ წელიწადნახევარი. სიტყვა ეძლევა პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. (ხმა დარბაზიდან). მე არ მითქვამს, რომ შეწყდა-მეთქი, მაგრამ... (ხმაური დარბაზში). ნუ ყვირიხართ. მე გთხოვთ, დეპუტატი ნუ დაკარგავს დეპუტატის სახეს. ნუ ყვირიხართ ადგილებიდან.

ხმა დარბაზიდან. მე მაინტერესებს ბატონ დიასამიძეს... (სიცილი, კამათი დარბაზში).

თავმჯდომარე. დაბრძანდით, იმ ზომამდე... მაგას მოვუვლით, არა უშავს. (ხმაური დარბაზში).

ვ. რჩეულიშვილი. სახელმწიფოს მეთაური დგას, კაცო.

ე. შევარდნაძე. მე ისევ ავიღე სიტყვის უფლება. (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო, ძალიან ბევრი ჟურნალისტია აქ, არიან უცხოელი ჟურნალისტებიც და მე გთხოვთ, რომ დეპუტატის სახეს ნუ დავკარგავთ. როცა ლაპარაკობს კაცი, დაუგდეთ ყური.

ე. შევარდნაძე. ისევ ავიღე სიტყვა იმისათვის, რომ რამდენიმე საკითხზე კვლავ შევაჩერო თქვენი ყურადღება. ჩვენი სხდომა რომ უფრო კორექტულ ვითარებაში მიმდინარეობდეს, აკაკი ასათიანის არ იყოს, არაფერი გასაკვირი არ არის. ბატონმა თედომ და სხვებმაც თქვეს ეს; რომ არავითარი გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს იმან, რომ როგორც მთელ საზოგადოებაში, ასევე პარლამენტში, მე არ ვიტყოდი, დღევანდელი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი იხილებოდეს მწვავედ და ხანდახან სახეზე იყოს ერთმანეთის გამომრცხავი აზრები. მე ძალიან ბევრს ვლაპარაკობ იმაზე, რომ თავიდან არ ვიყავი მომხრე პარლამენტის გაყოფის, მაგრამ შემდეგ ჩვენ ყველანი დავრწმუნდით, რომ უნდა გამოიკვეთოს უმრავლესობა და უმცირესობა, ოპოზიცია გამოიკვეთოს. ეს ჩვენი მოგონილი არ არის, აღიარებული პრაქტიკაა და პრინციპში ეს ხელს უწყობს ჭეშმარიტებისაკენ მივალ გზის პოვნას. მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ ეს როგორმე გადავლახოთ, ავადმყოფობა მინდა დავარქვა, რომ ხანდახან ნერვები გვღალატობს და არ შეგვიძლია ერთმანეთს მოვუსმინოთ. მე არავის არ ვადანაშაულებ, არც გვარს არ დავასახელებ, ეს ჩემი თხოვნაც არის, რამდენჯერმე ამას მუდარის სახეც ჰქონდა და რამდენჯერმე მოთხოვნის სახეც და კვლავ და კვლავ ვიმეორებ. ახლა მე მინდა შეგახსენოთ უბრალოდ, თქვენ ეს ყველაფერი წაკითხული გაქვთ და მე ვთხოვ, თუ ეს შესაძლებელია, პრესას, ტელევიზიას, კიდევ ერთხელ გააცნოს ჩვენს საზოგადოებას ის დოკუმენტი, რომელზეც ლაპარაკია დღეს. შეიძლება იყოს აქ რაიმე სადავო, საკამათო, მაგრამ არის აქ ისეთი ფუძემდებლური დებულებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქართველოსათვის. ბატონმა გივი ლომინაძემ დაიწყო, მერე არ გააგრძელა ჩამოთვლა, მეორე მუხლი, თუ არ ვცდები, ქალბატონმა მანანამ მოიხსენია. მე ერთხელ კიდევ შეგახსენებთ, აი მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი, გთხოვთ, ვისაც წაკითხული გაქვთ, გაგებით მოეკიდოთ ამ ჩემს გამეორებებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: „სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და უარის თქმა სხვისი ტერიტორიის დანაწევრებისათვის მიმართულ ნებისმიერ მოქმედებაზე, წევრი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალისა თუ ძალის დამუქრების გამოუყენებლობა, მშვიდობიანი საშუალებებით დავის გადაჭრა ისეთნაირად, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას“.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დებულება: „სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლის უზენაესობა, ჩაურევლობა ერთმანეთის საგარეო და საშინაო საქმეებში“. მე ხაზს ვუსვამ ამ ფრაზას იმიტომ, რომ აქ იყო ნათქვამი, რომ „სნგ“ ხელს უხსნის რუსეთს ჩაერიოს სხვის საქმეებში. პრაქტიკულად როგორ განხორციელდება, სხვა ამბავია და შეიძლება ეჭვის საფუძველი ჩვენ გვაქვს, მაგრამ მე მოგახსენებთ იმაზე, რა დებულებებს და ჭეშმარიტებებს ვუერთდებით ჩვენ, რას ვაღიარებთ და რას არ ვაღიარებთ — „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა ყველასათვის, რასის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიისა და ა.შ.“ აი ეს ფრაზა შეიძლება იწვევდეს გარკვეულ ეჭვებს, მაგრამ ეს არის ის სტანდარტი, რომელიც აღიარებულია მთელ მსოფლიოში. ეს არის გაეროს წესდებიდან დაწყებული შემდეგი დოკუმენტები, თქვენც გიმუშავიათ, მეც მიმუშავია ბევრი ამაზე და ევროპის პაქტი, ყველა პერსონალის შეთანხმებები და სხვა და სხვა. „ერთმანეთისა და მთლიანად თანამეგობრობის ინტერესების გათვალისწინება, ურთიერთთანხმობის საფუძველზე დახმარების გაწევა მათი ურთიერთობის ყველა სფეროში“ და ა.შ. შემდეგ ლაპარაკია ეკონომიკურ ურთიერთდახმარებასა და სხვა საკითხებზე.

მე ამას იმიტომ შეგახსენებთ, რომ თავისთავად იმ დოკუმენტში, რომლებსაც ჩვენ უნდა შევუერთდეთ, მე ბევრს ვერაფერს საეჭვოს და საკამათოს ვერ ვხედავ. გთხოვთ კიდევ ერთხელ ნახოთ, კიდევ ერთხელ გააანალიზოთ ყველაფერი ეს.

მეორე საკითხია, შეიძლება თუ არა მოხდეს დარღვევა იმ შეთანხმებისა, რომელსაც ჩვენ ვუერთდებით. ალბათ, პრინციპში, ამის გამორიცხვა ძნელია. მაგრამ სჯობს ამ შეთანხმებას, ამ დოკუმენტს ჩვენ შევუერთდეთ, სხვა ქვეყნებთან ერთად, რომლებთანაც ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს, ვიდრე მის გარეთ ვიყოთ. თქვენც ბევრი გიფიქრიათ ამაზე, მეც ბევრი ვიფიქრე. ამ გადაწყვეტილებამდე მივედი და შეიძლება გარკვეული ნაწილი დეპუტატებისაც. ახლა მე მინდა შეგახსენოთ ასეთი რამ — რა თქმა უნდა, არ არის ნორმალური მოვლენა, მე სავსებით გულწრფელად ვლაპარაკობ, როცა სახელმწიფოს მეთაური პარლამენტის და ხალხის დაუკითხავად ღებულობს ასეთ გადაწყვეტილებას. მე არ ვიცი, შეიძლება ვილაცამ მე უპასუხისმგებლო მიწოდოს, შეიძლება მითხრას ის, რომ უზურპაცია მოვახდინე ხელისუფლების. მე მინდა შეგახსენოთ რამდენიმე სიტყვით როდის მივიღე მე ეს გადაწყვეტილება და რატომ და გთხოვთ ამას შეხვდეთ გაგებით.

ჯერ ერთი, მას შემდეგ, რაც საქართველო გავიდა გარკვეულ სივრცეში, მას შემდეგ, რაც ჩვენ დავუკავშირეთ ჩვენი ბედი საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის გაეროს, ევროგაერთიანებას, გარკვეული აზრით ნატოსაც, დავიწყეთ თანამშრომლობა და სხვა ევროპულ საპარლამენტო სტრუქტურებს და ა.შ. მას შემდეგ, რაც გაირკვა ჩვენი ურთიერთობა ჩვენ მეზობლებთან — თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან, ასევე გერმანიასთან, საერთოდ დასავლეთთან და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან. მას შემდეგ, რაც ჩვენ შევედით შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკურ ალიანსში, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ინიციატორი და დამაარსებელია საქართველო, რომელიც სამწუხაროდ და ჯერ-ჯერობით ჩვენ ვერ გვიშველის იმიტომ, რომ მისი ფორმირება დასაწყის სტადიაშია და სავსებით გასაგები მიზეზების გამო და მას შემდეგ, რაც დატრიალდა ეს უბედურება, ეს ტრაგედია, დავკარგეთ აფხაზეთი და მას შემდეგ, აი ამას მე გთხოვთ განსაკუთრებით მიაქციოთ ყურადღება, თუ შეიძლება გამიწიეთ ანგარიში, რაც ქობალიას რაზმები ქუთაისს მოადგა, წყალტუბო თითქმის აღებული იყო, სამოქალაქო ომი უკვე გარდუვალი იყო, სამოქალაქო ომი დაიწყო საქართველოში და მე მინდა შეგახსენოთ, რომ მიმაჩნდა, რომ ჩვენ ლამის განწირული ვართ მასიური ხოცვა-ჟლეტისათვის. თქვენ გახსოვთ აქ თბილისელების შეკრება და არა მარტო თბილისელებისა, ის განგაშის ზარები, რომელიც აქ ირეკებოდა. ნუ დავივიწყებთ ამ ამბავს და მე მაშინ, მართლაცდა ტრაგიკულ დღეებში ვეახლე მოსკოვს და ვთხოვე დაეცვათ მაგისტრალები. ჩვენი ... მაგისტრალები, ჩვენი პორტები, რადგან დაიკავეს ფოთი, თქვენ გახსოვთ ეს დღეები, დაიკავეს და გაძარცვეს ფოთი, სამტრედია, გადაიჭრა ყველა არტერია თბილისისაკენ მომავალი და არა მარტო თბილისისაკენ და თბილისში დარჩა 3 თუ 4 დღის მარაგი ფქვილისა და პურისა. ამაზე უფრო მძიმე მდგომარეობის წარმოდგენა ძნელია, ძნელია ჩემთვის, ამიტომაც ჩემი თხოვნით იყო ის, რომ მოსკოვში მოიწვიეს სომხეთის პრეზიდენტი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჩემთან ერთად, შევხვდით ოთხეული და ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება მოხდეს, დატრიალდეს მართლაც დიდი უბედურება, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამიერკავკასიისათვისაც. იყო მიღწეული პრინციპული შეთანხმება იმის შესახებ, რომ როგორმე მაგისტრალები დავიცვათ. შევთანხმდით იმაში, რომ დანარჩენი ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ. იმდენად მართლაც დრამატული და ტრაგიკული იყო ეს ყველაფერი პირადად ჩემთვის და ბევრი თქვენთაგანისათვის იმ დღეებში, რომ მე 16-ჯერ მაინც ველაპარაკე შავი ზღვის ფლოტის ადმირალს ბალტინს და მე ვუთხარი, რომ თუ თქვენ მიგაჩნდათ საჭიროდ, მე ჩამოვფრინდები, სევასტოპოლში ჩამოვალ და შევხვდები პირად შემადგენლობას, უნდა მოგვეხმაროთ ამაში, რომ ფოთი როგორმე დაიბრუნოს ხელისუფლებამ. სხვა შემთხვევაში შიმშილი და უბედურება გარდუვალია. ან მეორე გამოსავალი იყო მაშინ, უნდა დაგვეყარა ფარხმალი, დიალოგი ჩვენ არ გამოგვდიოდა... არც უშუალოდ იმ მოძრაობის ლიდერთან, ახლა მე არ მინდა ცუდად მოვიხსენიო. არაფერი სხვა გამოსავალი არ იყო და მე მაშინ ათი ათასი მადლობა ვუთხარი იმ კაცს, რომელმაც აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა და რამდენიმე სამხედრო გემი შემოიყვანა ფოთში. მაშინ, ნუ შემედავებით თუ ამ სიტყვას გამოვიყენებ, გადარჩა დედაქალაქი, პრაქტიკულად გადარჩა საქართველო, თუ გადარჩენაზე შეიძლება ლაპარაკი. ჯერ არ არის გადარჩენილი, მაგრამ ამის პირობა შეიქმნა. აი ასეთ დროს, ასეთ პირობებში და ამ უფლების გათვალისწინებით, რაც ამას წინ უძღოდა, მე მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. მე გთხოვთ ნუ დავივიწყებთ იმასაც, მოწმეებია ხომ, აქ არის მე მგონი, ბალუაშვილი უნდა ესწრებოდეს, გენერალური პროკურორის მოადგილე, მოწმეებია დაკითხული, კბილებამდე შეიარაღებული რაზმები, არა მარტო აფხაზები, არამედ ჩეჩნები, კაზაკები, სხვადასხვა ეროვნების დაქირავებულები შემოვიდნენ ზუგდიდში, მე თვითონ ვიყავი ხობსა და სენაკში, იმ სახლებში, სადაც ისინი ღამეს ათევდნენ, სადაც ხალხი იხვრიტებოდა. წავიდეთ და ვკითხოთ იმ კუთხეში ხალხს. ეს ხომ ფაქტია, ეს ხომ ნამდვილი ამბავი იყო. და ამიტომ მე ვთქვი, შეიძლება გამასამართლონ, შეიძლება მოხდეს ასე, შეიძლება მოხდეს ასე, შეიძლება დახვრეტა მოგვისაჯონ, ჩამოხრჩობა მოგვისაჯონ, მაგრამ როცა კაცი დარწმუნებული ხარ, რომ სხვა გამოსავალი არ არის და ამან შეიძლება ხალხი გადაარჩინოს, ქვეყანა გადაარჩინოს, მაშინ მე მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობას არ უნდა გაექცე. არ გავექეცი ამ პასუხისმგებლობას. გნებავთ დაგმეთ ჩემი საქციელი, გნებავთ ნუ დაგმობთ, მაშინ მივიღე მე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველო უნდა შევიდეს „სნგ“-ს შემადგენლობაში.

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია №87;

გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89

საქართველოს სახალხო ფრონტი გოგი თამლიანს სამძიმარს უცხადებს ბიძაშვილის

რომა ივეჩიანის

გარდაცვალების გამო.

14 ივნისს 19 წლისა გახდებოდა. მოულოდნელად ეწვია სიკვდილი და ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. სამუდამო სევდა და ტკივილი დაუტოვა ოჯახს, ბიძაშვილებს, ახლობლებს.

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა ჩვენს ლამაზ, საყვარელ, ხალას ძმას და მეგობარს რომა ივეჩიანს.

ახლობლები

ვიცე-პარი რედაქტორი მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.